ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1928 სასაღამო № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ნოემბერს იხსნება მოზარდ მაყურებელთა თეატრი.

პიონერებო!

მოსწავლენო! ბავშვებო!

ეს თეატრი თქვენ გეკუთვნისთ.

გახსოვდესთ მუდამ, რომ ის თქვენთვის მეორე სკოლაა, სადაც უნდა მიიღოთ მხატვრული აღზრდა.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

		გვ.
1.	მისალმებანი ჟურნალ „პიონერს“	2
2.	ჟურ. „პიონერის“ არს. ორი წელი — ა. ასტაშევა	3
3.	ლექსი პატარა გიგლას შესახებ — კ. კალაძე	4
4.	ჯაგრიანი გველი — ს. მთვარაძე	5
5.	პიონერებს (ლექსი) — კ. მელაძე	8
6.	განსის თავგადასავალი — მატე ზალკა	9
7.	რა უნდა ვიცოდეთ ჩვენი ჟურნალის შესახებ — ალ. სულავა	9
8.	ოქტომბრის დღეები (პიესა) ვ. დ — ლი	16
9.	მოზარდ მაყურებელთა თეატრი — ელ. პოლუმორდვინოვი	18
10.	პიონერები ჟურნალ „პიონერის“ შესახებ	19
11.	ჩვენი ძმები მსოფლიოში	20
12.	შავი ხღვის პირას — ს. ერთაწმინდელი	23
13.	ჩვენი ვიქტორინა — გარეკანზე	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანი
გ. ჯავახიძე

ჟურნალ „პიონერს“

საქ. ლენ. ახ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით ვუძღვნი მხურვალე სალამს ორი წლის იუბილიარს, ჟურნალ „პიონერს“. მის უშუალო და უდიდესი მნიშვნელობის ამოცანას შეადგენს აღზარდოს ჩვენი მესამე თაობა ლენინურად—ბოლშევიკურად, ხელი შეუწყოს მას, რომ ჩვენს ქვეყანაში აღიზარდონ სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმისათვის თავდადებულ მებრძოლთა ასიათასიანი კადრები. ამ ამოცანის შესრულებაში ვუსურვებ მას ბრწყინვალე გამარჯვებას.

გან. სახ. კომ. მოადგილე და სოციალ. აღზრდ. მთავარმართველობის გამგე
მარიამ ორახელაშვილი.

სალამი ჟურნალ „პიონერს“

[illegible]ლის განმავლობაში [illegible]ათუოდ დაიმსახურა [illegible]ვარული; ამას ამ- [illegible] მკითხველთა მუდ- [illegible]ერდა.

[illegible]სურვოთ ჟურნალ „პიონერს“ [illegible]ვალში უფრო გაეძლიერებიოს [illegible]ისა, ხელისუფლებისა და [illegible]ვშირის მიმდინარე ამოცა- [illegible]ნ ერთად მხატვრული ლი- [illegible]ურა, როგორც ბავშთა ერთ- [illegible]ლიერი აღმზრდელი სა- [illegible]. ვუსურვოთ „პიონერს“ [illegible] და ყველა მშრომელ [illegible] კომუნისტურად გათვით- [illegible]ების და მათი აღზდის [illegible] წარმატება და გამარჯ-

მხურვალე სალამი ძვირფას იუბილიარს, ჟურნალ „პიონერს“

ჩვენს საუკეთესო და უახლოეს თანაშემწეს ბავშთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში. მხურვალე სურვილი, რომ ჟურნალი გაიზარდოს, გაძლიერდეს და გამაგრდეს, დარაზმოს თავის ირგვლივ მთელი რესპუბლიკის ბავშობა მომავალ რევოლიუციონურ ბრძოლებისათვის და კომუნიზმის გამარჯვებისათვის. მხურვალე სალამი ჟურნალის საშუალებით ჩვენს მებრძოლ კომკავშირს — პიონერ — მოძრაობის საუკეთესო ხელმძღვანელს — და „პიონერის“ მკითხველ ბავშობას.

[illegible]

[illegible]

[illegible]

სალამი ორწლიან იუბილიარს!

„პიონერმა“ თავისი არსებობის ორი წლის განმავლობაში, უეჭველია, [illegible] დიდი ორგანიზაციული როლი შეასრულა ბავშთა მოძრაობის განვითარებაში.

[illegible] მაგრამ ეს არ კმარა. მთავარი ამოცანა [illegible] მდგომარეობს იმაში, რომ ჟურნალი, უნდა ეძსა- [illegible]სურებოდეს რა ბავშთა შასების კომუნისტური [illegible]ზრდის საქმეს, გადაიქცეს ნამდვილ ფართე [illegible]იურ საბავშო ჟურნალად.

[illegible] ამ ამოცანის შესრულება, რასაკვირველია, [illegible]ამოკიდებელია თვით ბავშებზეც და ბირველ [illegible]ოვლისა კი პიონერებზე.

ვუსურვებ ჩვენს პიონერებს და ყველა პრო- [illegible]ლეტარულ ბავშს ენერ- [illegible]იულად იზრუნონ თა- [illegible]ისი ჟურნალის კე- [illegible]ოლდოეობაზე.

ა. ლ. კ. კ. ცეკას აგიტპროპ
კ. ბუჯიაშვილი.

[illegible]

[illegible] დიდი სიყვარულ[illegible] ბავშები ჟურნალის პირვა[illegible] რათებს, ილუსტრაციებს, გა[illegible] სახელწოდებაზე და სხვა. მარ[illegible] კუთარი ჟურნალის გამოსვლა, [illegible] შეხვდენ პირველს, მეორეს და ასე[illegible] რად გამოსულ ნომრებს. მოუთმენ[illegible] ყოველი ნომრის გამოსვლას [illegible]ათვალ[illegible]ლობდენ, მსჯელობენ.

ჟურნალი აღწერდა პიონერ-მო[illegible] ასში თავსდებოდა საინტერესო მოთ[illegible] და პიონერების კოლექტიური მუშა[illegible] ემოქმედება. და, აი, უკვე მეორე წ[illegible] როდა ჟურნალი „პიონერის“ სქელ[illegible] ელსაც ისე, როგორც მაშინ, წ[illegible]ოთელ[illegible] ღლითი-დღე გაუმჯობესებული [illegible] კითხველებს სხვადასხვაგვარ ფრიალ[illegible] ონერ-მოძრაობის სინამდ[illegible], საბ[illegible] ასხვა მოვლენები, საზ[illegible] [illegible]ელი პიონერ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „პიონერის“ არსებობის ორი წელი.

სალამი ორწლიან იუბილიარს.

სალამი მის კორესპონდენტებს!

უკვე „პიონერის“ იუბილეა, და მერე რა ჩქარა! დრო როგორი გასაოცარი სიჩქარით მირბის! გუშინ მხოლოდ ჟურნალის პირველი ნომრები ეჭირათ ხელში პიონერებს და დღეს კი უკვე მისი არსებობის მეორე წელი სრულდება.

გუშინ მხოლოდ მთელი პიონერები, პიონერ-მუშაკები, ბავშთა კომუნისტური ხელმძღვანელები ოცნებობდენ ჟურნალის შესახებ, სურდათ, რომ გამოსულიყო პატარა ფურცლები მაინც, ოცნებობდენ და ლაპარაკობდენ ამის შესახებ ყველგან, ეძებდენ საშვალებებს, მიმართავდენ ყოველგვარ ლონისძიებას, რომ როგორმე გამოეცათ პიონერული ჟურნალი. ასე იყო ეს და ასე უნდა ყოფილიყო კიდეც.

და, აი, როგორც ვიცით, ჟურნალის გამოშვება 1926 წლის ოქტომბერში უკვე შეიქნა შესაძლებელი. გამოვიდა ჟურნალის პირველი ნომერი; რა სიხარულით შეეგებენ საკუთარ ჟურნალს პიონერები და მოწაფეობა!

ჟურნალისადმი მათი სიყვარული უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ტკბილეულობისადმი, რადგან ჟურნალი გულისხმობდა და იძლეოდა საზრდოს მათი მოძრაობისა, მოთხოვნილებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.



პიონერები კითხულობენ ჟურნალ „პიონერს“

დიდი სიყვარულით და გატაცებით ათვალიერებდენ ბავშები ჟურნალის პირველ ნომერს, ათვალიერებდენ სურათებს, ილუსტრაციებს, გარეკანს, დაობდენ ჟურნალის სახელწოდებაზე და სხვა. მართლაც სასიამოვნო იყო საკუთარი ჟურნალის გამოსვლა, და პიონერებიც ხალისით შეხვდენ პირველს, მეორეს და ასე შემდეგ სისტემატიურად გამოსულ ნომრებს. მოუთმენლად უცდიდენ ისინი ყოველი ნომრის გამოსვლას, ათვალიერებდენ, კითხულობდენ, მსჯელობენ.

ჟურნალი აღწერდა პიონერ-მოძრაობის ისტორიას, მასში თავსდებოდა საინტერესო მოთხრობები, შუქდებოდა პიონერების კოლექტიური მუშაობა, ცხოვრება და შემოქმედება. და, აი, უკვე მეორე წელია, და უკვე დაგროვდა ჟურნალი „პიონერის“ სქელი კომპლექტი, რომელსაც ისე, როგორც მაშინ, წითელი გარეკანი აქვს და დღითი-დღე გაუმჯობესებული სახით აწოდებს თავის მკითხველებს სხვადასხვაგვარ ფრიად საჭირო მასალას: პიონერ-მოძრაობის სინამდ[illegible], საბჭოთა ქვეყნების სხვადასხვა მოვლენები, საზ[illegible]ელი პიონერების ცხოვრება, საქართველოს პიონერ-კოლექტივების მუშაობა და და სხვ. ის ათავსებს თავისი ფურცლებზე საინტერესო მოთხრობებს და ამბებს.

ამიტომ მისი არსებობის ორი წლის თავზე მხურვალედ უნდა მივესალმოთ მას და ვუსურვოთ წინსვლა და განვითარება.

ჟურნალს ეხლა უკვე ჰყავს გარკვეული კადრი მკითხველებისა, მაგრამ იგი რიცხვობრივად მცირეა და ეს სამარცხვინოა იმ ორგანიზაციისათვის, რომელსაც 85000 პიონერი ჰყავს თავის რიგებში. ჟურნალ „პიონერის“ ტირაჟი 1000 და იგი უნდა ვრცელდებოდეს უნაკლოდ, ჟურნალ „პიონერს“ უნდა იწერდეს და კითხულობდეს ყოველი პიონერი.

ყოველი პიონერი ვალდებულია გამოიწეროს და სხვებსაც გამოაწერინოს ჟურნალი, გასწიოს ფართე აგიტაცია მის გასავრცელებლად.

ეს ჟურნალი საჭიროა ყოველი პიონერისათვის და მოსწავლისათვის, ისე, როგორც საკვები პური, რადგან იგი ასწავლის, როგორ უნდა საკუთარი ცხოვრების მოწყობა, როგორ უნდა კოლექტივებში მუშაობა. ვინც არ კითხულობს ჟურნალ „პიონერს“, იგი უსათუოდ ჩამორჩენილი პიონერია, რომელმაც არ იცის, თუ რა ხდება მის ირგვლივ, რა ხდება შორეულ უცხო ქვეყნებში, როგორ მუშაობენ და მოქმედობენ სხვა კუთხის და ქვეყნის პიონერები და ბავშები.

ეს კი ყველაფერი ამ ჟურნალის საშვალებით შეიძლება გაიგო და იცოდე. ამიტომ ის, ვინც არ კითხულობს ჟურნალ „პიონერს“, არაა დაინტერესებული ამ აუცილებელი საკითხებით.

რომ ჟურნალი უფრო საინტერესო იყოს, საჭიროა პიონერები თვითონ ზრუნავდენ მისი გავრცელების შესახებ.

საჭიროა რაც შეიძლება მისი ტირაჟის გადიდება, მისი არსებობის მესამე წელზე მაინც, ისე რომ მესამე წლის თავზე ჟურნალის არსებობასთან ერთად ჩვენ ვიდღესასწაულოთ მისი ტირაჟის რამდენიმე ათასით გაზრდაც.

ისე, როგორც 1926 წლის შემოდგომაზე, დღესაც მზე საშემოდგომო ნისლში ეხვევა, მაგრამ დღეს უკვე ჩვენი ჟურნალის ორი წლის იუბილეს ვიხდით, ვამოკმებთ და ვაფასებთ განვლილ მუშაობას.

ხანგრძლივი სიცოცხლის სურვილით მხურვალე სალამი, ჩვენო ძვირფასო, საყვარელო „პიონერო“.

ბ. ასტაშევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიოლ ალიაბ

ლექსი პატარა გიგოლას შესახებ

შეგხვდი მინდორის მოლზე გარბენილს,
დამფრთხალ ჩიტივით გიფეთქდა გული.
შემომანათე მკვირცხლი თვალები,
ვარსკვლავებივით გაბრწყინვებული!

აყვავილებულ ხეებს სოფელში
ასე უყვარდათ მზისკენ ყურება,
და ვერცხლისნაირ ნამით სოველი
ეზოში იდგენ თაიგულებად.

ეხლა მთა-ბარი აგერ დამჭკნარა,
და ყოველ დილით დგება ავდარი.
მოლიეს რთველი. და ისევ ჩქარა
ცივი და თეთრი მოვა ზამთარი.

მაგრამ ხალისმა მზეს რათ უცადოს,
და შარას, დაე, თოვლი ჰფარავდეს,—
გამოსარბენად თუ საგუნდაოდ
სოფლის სკოლიდან სახლის კარამდე...

მანამ დარბიხარ ისევ ტოლებში—
ისარმსროლელი მოზიდულ მშვილდით,
რომ სუროიან მუხის ტოტებში
ამოაფრინო გულშავა ჩიტი!

ცელქობაში თუ შემოგალამდა,
შინ შემოაღებ ქურდულად კარებს...
და მერე დიდხანს, მჯდომი ბუხართან,
სულგანაბული მოისმენ ამბებს.

გულჩათხრობილად მოჰყვება დედა,
მამის მოკვლა რომ იყო გმირული;—
შვილები უსმენთ, სუნთქვას ვერ ჰბედავთ
წიწილებივით შემობუდრული...

მამა ემსხვერპლა იმ გამარჯვებას,
წელს რომ ზეიმი ჰქონდა დროშებით.
და შენ ოცნებით მოელი ბრძოლას,
როცა მისგვარად განმეორდები...

...და ასე დედის გულთან უზიხარ
ფიქრებს, და გესმის ტკბილი სიტყვები...
მოვა დრო. მტრების ხელახალ რისხვას
ებრძოლეთ! ნურვინ დაერიდებით!

ჟურნალ „პიონერის“ თანამშრომელი პროლეტარული მწერლები
1. ალ. მაშაშვილი. 2. კ. კალაძე. 3. კ. ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

I

სოფლის ჯვარედინ გზაზე უამრავი ბავშვი ირეოდა. იდგა ჟრიამული და სიხარული. მათი სიცოცხლით სავსე მოძრაობა თვალებს აუჭრელებდა კაცს. გლეხკაცები სიამოვნებით შესცქეროდენ ერთად შეკრებილ პატარა ძმებს და მეგობრებს. ცეცხლად ქცეულ მზის სხივებში ელვარებდა წითელი ლენტები და მრავალფერი თმა.

პიონერთა კოლექტივი სალაშქროდ ემზადებოდა. თითოეული ბავშვი მოუთმენლად ელოდა გამგზავრებას და ზეაღმტაცი ნეტარებით ათვალიერებდა თავის საომარ იარაღს — „პუგაჩს“. რა ვუყოთ! თუმცა ნამდვილი არ არის, მაგრამ მასაც ხომ აქვს ხმა და ცეცხლი.

—ჩემს „ლევორველს“ სუსტი ფეხი აქვს!—გაიძახოდა ერთი.

— გამოაცვლევინე!

— ჩემი ისეთია, დათვსაც მოჰკლავს!

— ჩემიც...ჩემიც...—აჟღავჟღავდენ ერთ ჯგუფში ყმაწვილები.

— რა იქნენ ის მაჯლაჯუნა კაცები, რას იგვიანებენ!?

— ერთი ჩამივარდებოდენ ხელში!..

— წავიდეთ, კიდევ დავუძახოთ!..

რამდენიმე ბავშვი გასაქცევად მოემზადა.

— არ უნდა, მოვლენ! — შეაჩერა მოუთმენლები ხელმძღვანელმა.

ისინი ელოდენ ბარგისათვის დაქირავებულ მეურმეებს. სოფლის საბჭოს თავმჯდომარე გამოჩნდა და პიონერთა ხელმძღვანელს ზრდილობიანად მიმართა.

— ბოდშის ვიხდი, ამხანაგო! სად მიგყავთ ბავშვები!?

— უდაბნოში[1]), სალაშქროდ — უპასუხა ხელმძღვანელმა.

— უდაბნოში? — გაიკვირვა მან. — მერე, ხომ დაისიცხენ და ავად დახდენ.

— ეგ არ გვაშინებს, უნდა გამოიბრძმედონ.

პიონერებმა შეურაცხყოფა იგრძნეს და ამაყად განაცხადეს:

— ავად ქალაჩუნები ხდებიან, ჩვენ კი მებრძოლი პიონერები ვართ!.. საბჭოს თავმჯდომარე იძულებული იყო შეენანებია თავისი ნათქვამი. ბავშვები ახმაურდენ.

„მოვიდენ...მოვიდენ“...„წავიდეთ“, „მალე, მალე, ნუღარ ვიგვიანებთ!“

დაქირავებული მეურმეები მოსულიყვნენ და პიონერები ურემზე საგზალს და დასახურავს ალაგებდენ. ორი ურემი დატვირთა ასამდე ბავშის სურსათმა. მეურმეებს სეტყვასავით დააყარეს საყვედური. გლეხკაცები პირდაღებულნი უსმენდენ. ერთმა ძლივს გაბედა და სთქვა:

— ხომ არ დავიგვიანეთ!? მაგრამ თქვენ ყველას ან ცეცხლი გინთიათ ძარღვებში, ან უკან მტერი მოგდევთ!..

მებუკემ მოსამზადებელი შესძახა. დაფანტული ბავშვები ამ ხმაზე უფრო გამოცოცხლდენ და იქეთ მიაშურეს, საიდანაც ლამაზი მწკრივები თანდათან დაეწყო და წუთით მდუმარება ჩამოვარდა. ჯვარედინი გზა ისე გამოყრუვდა, ვით ერთბაშად ჩავარდნილ ქარიშხლის დროს.

— ბიჯებით იარ! — გაისმა ხელმძღვანელის მედგარი ბრძანება. ათასი ტანი შეირხა. მოხდენილად ამოძრავდა უამრავი ხელ-ფეხი და ისინი წავიდენ სიცხისაგან გადამწვარ უდაბნოში სალაშქროდ.

II

პატარა ბორცვებიან და სპილენძივით გახუნებულ ველზე გულიანად ხვრინავდენ ბავშვები. პიონერებს საშინლად უყვართ ყველაფერში წესრიგის დაცვა და, აი, ძილის დროსაც ისე ჩამწკრივებულიყვნენ, თითქოს გათლილი ბოძები მიუწყვიათო. ლურჯი დაბინდული ცა მოციმციმე თვალებით ჭახჭახებდა. გარშემო იდგა სამარისებული სიჩუმე და ღამითაც-კი სულშემხუთავი ბუღი. ხანგამოშვებით ბავშვებს ჩასწოდენ ყურში მოუსვენარი კოღოები და ისინი ხელის გაქნევით იშორებდენ მათ. თანდათანობით ჰაერი შეიმღვრა და გრილმა სიომ შვება მოიტანა. ალიონმა აიწია, თენდებოდა. ბავშვები შეიმუშნენ. ჯერ ერთი წამოდგა, მას აჰყვა მეორე და მცირე ხნის შემდეგ ყველანი წამოიშალენ. გაყრუებული მინდორი თანდათან ამოძრავდა.

[1]) დავით გარეჯის მონასტრის მიდამოებს გარე-კახეთში უდაბნოს ეძახის ხალხი.

— წყალს სად ვიშოვით? — ჰკითხა გამოცდილ მეურმეს ხელმძღვანელმა.

— წყალი ტინებში გამოჭრილ მონასტრის ახლოს არის.

— წავიდეთ! — გაიცა ბრძანება.

ყველანი წავიდენ თვალების სრესით და ღამის განცდებზე მხიარული ოხუნჯობით. პირი დაიბანეს და საუზმე მზის ამოსვლას დაასწრეს. ხელმძღვანელმა ბრძანება გასცა და ნორჩი ყრმები სალაშქროდ და საბრძოლველად მოემზადენ. ველზე უდაბნოსათვის უცნაური მწკრივები დალაგდენ.

— ამხანაგებო! მიმართა ხელმძღვანელმა თავის რაზმს, — ჩვენ გავიყოფით ორ ნაწილად: ერთნი იქნებიან „თეთრები", ხოლო მეორენი „წითლები". თითო ნაწილში 50 კაცი მოდის... ეს საკმაოა. თეთრები და წითლები უნდა შეებრძოლონ ერთმანეთს და გამოიჩინონ თავ-თავისი უნარი. აბა, მაშ ვიწყებთ!.. ხელმძღვანელმა ორად გაჰყო ასეული და ერთი ნაწილის უფროსობა თავის ხელქვეითს ჩააბარა. ნიშანიც მისცა.

— თქვენ იქნებით „თეთრები!" — განუცხადა მან ხელქვეითს.

— მესმის! — მორჩილებით შესძახა მან. „თეთრების" ნაწილში მოყოლილი ბავშები უკმაყოფილო იყვნენ და წყენით აბუტბუტდენ.

— მე „წითლებში" მინდა!.. ეშმაკმა დასწყევლოს „თეთრები!" წამოიძახა ერთმა. — მეც, მეც! არ მინდა! — აჰყვნენ მას სხვები. ხელმძღვანელი მოიღუშა და დინჯად განაცხადა:

— ამხანაგებო! ჩვენ ხომ ნამდვილი მტრები არა ვართ ერთმანეთის. ეს მხოლოდ გამოცდისთვისაა საჭირო. როდესაც ერთ ამოცანას შევასრულებთ, მერე თქვენ იქნებით „წითლები"! ბავშები დააწყნარა ხელმძღვანელის განმარტებამ. მან განაგრძო:

— ახლა ამოცანა. აგერ დაახლოვებით ვერს-ნახევარზე მყოფი მაღლობები „თეთრების" იქნება, „წითლების" კი ეს ფერდობები და ხეობა. „წითლები" უნდა ეცადონ მაღლობის ხელში ჩაგდებას, მაგრამ „თეთრებსაც" აქვთ უფლება ხელსაყრელ მომენტში „წითლების" ადგილი აიღონ. დამარცხება შეუმჩნევლად ალყის შემორტყმაა მტერზე. მზვერავი ტყვედ ჩაითვლება, თუ „მტერმა" ათ ნაბიჯზე მოასწრო სროლა.

ბავშები სულგანაბული უგდებდენ ყურს და „ლევორვლებს" სინჯავდენ. „ტყვიები" საკმარისი აქვთ. მალე ასტყდება ბაგი-ბუგი, აურზაური და ყიჟინა. ოჰ.. მალე.. მალე.. მოუთმენლად აცახცახდა თითოეული ნორჩი გული. ხელმძღვანელმა უკანასკნელი ბრძანება გასცა და „წითლები" და „თეთრები" თავ-თავის განწესებულ ადგილისკენ გაეშურენ.

შუადღისას საშინლად ჩამოცხა. გაწითლებულ ფერდობებს ცეცხლის ალმური ასდის. აირიენ მავნე მწერები. ნიავი მზის გავარვარებულმა სხივებმა შებოჭეს და შეხუთულ ველებზე აღარ გააჭაჭანეს.

დილას აქეთ „თეთრები" და „წითლები" დაუნდობლად დასდევდენ ერთმანეთს, მაგრამ ჯერ ბოლო არ ჩანს. ერთი ხანია „წითლების" მხრიდან აღარაფერი ისმის, თუმცა „მზვერავების" პიროვნული „შე-



პიონერები ჟურნალი „პიონერის" რედაქციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაკება“ წინასათებში ხშირი იყო. „ალბათ, რალაც „სამხედრო ხერხი მოიგონეს „წითლებმა!“ — გაიფიქრა „თეთრების ბელადმა“, — ჩავცვივდებით. ჩვენ უნდა დავასწროთ, ამისათვის უნდა წავიდეთ ძირს, აგერ ტინები და ქვიანი ადგილები რომ მოჩანს. ეგეების ქვებზე მოფარებით შეუმჩნევლად შემოვარტყათ ალყა“.

— უნდა წავიდეთ! — განუცხადა მან თავის რაზმს და წასასვლელი ბრძანება გასცა. პატარა რაზმი ფერდობზე ჩამოიშალა ფრთხილად და უხმაუროდ, მეომრებს ყოველი შემთხვევისათვის „ლევორვლები“ გამზადებული უჭირავთ ხელში. ისინი უზარმაზარ ტინებს მიუახლოვდენ, რომელთაც ოშხივარივით ასდიოდათ სიცხის თხელი, უფერული ალმური.

— ქვები ისე ცხელია, ხელსა სწვავს! — წასჩურჩულა ერთმა პიონერმა მეორეს.

— სული მეხუთება, მაგრამ უნდა ვიომოთ! — უპასუხა მეორემ.

— მოეფარენით ქვებს! — გასცა ბრძანება „ბელადმა“. ბავშები ჩაცუცქდენ ვეებერთელა ქვებს უკან. „ბელადი“ უზარმაზარ ტინზე ავიდა და ახლო-მახლო მიდამოებს თვალიერება დაუწყო. ტინის ძირი ოდნავ შევიწროებული იყო და იქ, მიწაში, საკმაოდ განიერი ხვრელი ჩადიოდა, თითქოს მომსხო ბოძი ჩაუსვიათ შიგ და ისევ ამოუღიათო.

— ფრთხილად! განწირულებით შეჰყვირა ქვას ამოფარებულმა პიონერმა და ფეხზე წამოხტა.

— რა იყო!?

„ბელადი“ ჩამოხტა ძირს.

— უყურე რამოდენაა! — ყმაწვილმა ხელი გაიშვირა ტინის ძირისაკენ. ბავშები შეეუჩდენ და ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ყურება დასახელებულ ადგილს.

— გველი! — წამოიძახა ერთმა.

„გველი... გველი!..“ „უჰ, რა მსხვილია!?“ ასეთი რომ ჯერ არ გვინახავს!“ — აჟღავჟღავდა ყველა. ტინის ძირს მართლაც უზარმაზარი გველი შემოხვეოდა ორკეცად; ის ჭრელი იყო, შავი წინწკლებით. ხმაურობაზე მძიმედ შეინძრა და ყველამ დაინახა, როგორ მოეხსნა ტინის ძირს.

— დაუშინეთ! იქნებ ხმაზე დაფრთხეს! — გასცა ბრძანება „ბელადმა“. ბავშები გამოერკვენ და ყველამ მოიმზადა „ლევორვლები“. ასტყდა სროლა, ყიჟინა. ვეებერთელა, მარგალივით ძირს გაწოლილი ქვემძროომი სროლის ხმაზე თითქოს გამოფხიზლდა. ბავშებმა შეამჩნიეს კისერზე აშლილი ჯაგარი. გველმა შხამიანი ენა გადმოაგდო და წამსვე მინდვრები გააყრუა მძაფრმა სისინმა. იგი ელვის სისწრაფით შესდგა კუდზე და ჰაერში ზარფუშის მილივით დაეხვია,

— მოერიდეთ!..

„ბელადი“ უკან გადახტა, ბავშები ტინებს მიაწყდენ. წამსვე კუდზე შემდგარი გველი კლაკვნით გაემართა რაზმისაკენ. ყმაწვილების ყურებს ათრთოლებდა გამბასრავი სისინი შხამიანი ქვეწარმავალის.

— მარდად, რაც შეგიძლიათ დაუშინეთ ქვები! — შესძახა „ბელადმა“ და ქვას დასწვდა. პიონერები თავგანწირულად ეცენ გახურებულ ქვებს. ორმოცდაათი წყვილი პატარა ხელი მრისხანედ აღიმართა მაღლა. წამოვიდა ქვის სეტყვა და დაკლაკნილი სხეული ძირს დასცა. მან ქვების გროვა შეიბერტყა და უფრო გამძაფრებით გაიწია მტრისაკენ. ასე რამდენჯერმე განმეორდა. ბავშები შეუდრეკლად იდგენ და ყველას ჰკლავდა მტრის დამორჩილების წყურვილი. ზოგი გროვად ესვრიდა ქვებს, მაგრამ სიცხის ბულში თავგანწირულმა ბრძოლამ ნორჩი სხეულები დაქანცა. ოფლი წყალივით დაიძრა სახეზე, გველის მოკვლას კი არაფერი ეშველა. წუთით ჩამალული ქვის ხვავში, ის ისევ ჰყოფდა თავს და ჯაგარაყრილი მიეშურებოდა მათ ჩასანთქმელად.

— ყოჩაღად! — გაჰკიოდა „ბელადი“ და სასომიხდილი მზად იყო ძირს დასაცემად. ბავშები დაიქანცენ. სიცხემ დათენთა ყველანი. მრავალმა თვალები მილულა. დაუნდობელი ქვემძრომი-კი წინ მიიწევდა და თანდათან სუსტი წინააღმდეგობა ხვდებოდა.

მოულოდნელად მთის მახლობელ ფერდობზე ერთხელ გავარდა „ლევორველი“, მას გახშირებული სროლა და ბავშების წკრიალა კიჟინა მოჰყვა.

— „წითლები“ მოდიან!. — სიხარულით შეჰკივლეს სასომიხდილმა „თეთრებმა“.

— წითლები, წითლები! — შეიქნა აღტაცებული ხმაური დაქანცულ ბალღებში. ყველამ ზეაღმტაცი სიხალისე იგრძნო და უკანასკნელი ღონე მოიკრიბეს. პიონერთა ხელმძღვანელი თავგანწირულად დაეშვა ფერდობზე. მას თან გაჰყვა ბავშების შეუჩერებელი ნიაღვარი და ხიფათში მყოფთ მიაშურეს.

— რა ამბავია!? — მოსვლისთანავე შესძახა ხელმძღვანელმა, მაგრამ, დაინახა თუ არა მოსისინე გველი, უმალვე მიხვდა განსაცდელის მიზეზს.

— თქვენ დაიწით უკან! — უბრძანა მან „თეთრებს“. „წითლები“ წინ წამოდგენ და ქვებს დასტაცეს ხელი.

— ჩვენ ყველანი ერთად ვართ და გავიმარჯვებთ!.. დასცხეთ! — შეჰყვირა ხელმძღვანელმა. კვლავ ატყდა უფრო მძვინვარე ქვის სეტყვა და როდესაც ქვის ხვავში კვლავ ჩაიმალა შხამიანი ქვეწარმავალი, მან განკარგულება შესცვალა.

— აბა, მარდად, რამდენიმემ ერთად აიღეთ დიდრონი ლოდები და, ვიდრე წამოდგება, თავში დაარტყით. გამარჯვება მხოლოდ შეერთებული ძალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება!.. პიონერები ჯგუფად ამოძრავდენ და მცირე ხნის შემდეგ უცნაური ცხოველი თავგაჭეჭყილი ეგდო. ყველამ განცვიფრებით დაუწყეს თვალიერება გაუგონარი გველის ოდნავ მთრთოლვარე ტანს. იგი იყო ზოლ-ზოლად ჭრელი, მუქი შავი წინწკლებით, სამი მეტრი სიგრძის, მარგილის სისხო და, რაც მთავარია, კისერზე ეყარა სამი გოჯის სიგრძე ბაცი ჯაგარი.

— უჰ, ასეთი რამ გაგონებითაც-კი არ გამიგონია! — გაკვირვებით წამოიძახა ხელმძღვანელმა.

— უჰ, რამოდენაა! — იძახდენ ბავშები.

— „წითლები“, რომ არ მოსულიყვნენ, ყველას დაგვშხამავდა.

— დიახ, მხოლოდ „წითლები“ დაიხსნიან ყველას განსაცდელისაგან! — ამაყად უპასუხეს „წითლებმა“. საიდანლაც, ჯოხით ხელში, ქაქანით მოვარდა მეურმე და აღტაცებით წამოიძახა:

— შეგრჩეთ მარჯვენა ამ დაუნდობელი წყეულის მოკვლისათვის. ასეთი დიდრონი გველები საქართველოში მხოლოდ ორ ადგილას იცის: ერთი ამ უდაბნოში და მეორეც შირაქში, ისიც ძალიან იშვიათად. მეტისმეტად ზვიადი ცხოველია: არც ცხვარს ინდობს, არც ცხენს, არც ძროხას. როგორც დარწმუნდით, ადამიანსაც ეტანება. ჩვენ, გლეხკაცებს, არ გვიჯეიებენ „ნასწავლები“, როდესაც ვამბობთ, რომ ასეთი ქვეწარმავალი ჩვენშიც არსებობს: თქვენ „ნატვრის თვალს“ ეძებთ და ის კი ჯაგრიან გველებს აქვთ თქვენი აზრითო. აბა, ხომ ნახეთ, არც ახლა დაიჯერებთ!?

— მაგას რაღა თქმა უნდა! მაგრამ სად იზრდებიან ამოდენა გველები!? — იკითხა ხელმძღვანელმა.

— უდაბნოში ადამიანი იშვიათად ხვდება, გველი კი დიდხანს ცოცხლობს და, თუ დააცალეს, ასე უზარმაზარი იზრდება. იარაღითაც კი ძნელად გაბედავს ადამიანი მასზე მისვლას.

— დიახ, შეერთებული ძალის გარეშე იარაღიც კი უძლურია მტრის წინააღმდეგ. გესმით, ამხანაგებო! შესძახა ხელმძღვანელმა მრავალმნიშვნელოვნად.

— გაუმარჯოს გაერთიანებულ ძალას! — შეჰყვირეს აღტაცებულმა პიონერებმა და მოკლული გველის დასამარხად ორმო გათხარეს.

ორი კვირის შემდეგ „ჯაგრიანი გველის“ სათაურით ადგილობრივ კედლის გაზეთში დაწვრილებით იყო აღწერილი პიონერთა კოლექტივის საინტერესო ლაშქრობა.

ს. მთვარაძე.

პიონერებს

მწამს, პიონერულ დროშას არ დახრით,
როს გადამწყვეტი ბრძოლა იქნება.
მტრის წინააღმდეგ შურისძიებით
თქვენი თვალებიც აელვარდება.

—

მამხნევებს თქვენი ცეცხლური ხმები
ახალგაზრდული, აღსავსე სისხლით,
პირმომცინარი გვიღიმის მთები,
დაბრკოლებისთვის ჩვენ ისევ ვიცდით..

—

„ლენინის დროშას ჩვენ ძირს არ დავხრით“ —
თქვენგან ეს ფიცი გამიგონია, —
„და არც იარაღს ცეცხლში არ დავყრით,
ჩვენ უძლური ვართ, — მტერს თუ ჰგონია!..

თუ ქარიშხალი მოვარდა ისევ,
თოფით ვიბრძოლებთ თქვენთან გმირები,
პიონერთ ლაშქარს ვინ, რა შეაკრთობს,
ვართ ახალგაზრდა ლენინელები!

—

ტყვილია, ძმებო, მტრების ფიქრები,
ჩვენ შეგვიძლია ცეცხლში ბრძოლები...
ხმალამოწვდილი თქვენთან ვიქნებით
და ცხელსა ტყვიებს ვეამბორებით...

—

ამ გამარჯვებას მუდამ დავიცავთ,
ძმებსაც მოვურჩენთ მწვავე იარას,
მსოფლიო ძმების წინაშე ვფიცავთ:
ხელში ავიღებთ ყველა იარაღს“.

კ. მელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ძია იოგანი კოჭლობით, ხელში დაბჯენილ ყავარჯენით ნელა ჩამოყვა სარდაფის კიბეებს და შეერია ლუდით შექეიფიანებულ ხალხში.

იოგანის დანახვა განსს ძლიერ გაუხარდა, მაგრამ სარდაფის მეპატრონე ვოლტერის შიშით დაფარა იგი, რომელიც დახლის შუა ადგილას იჯდა და, თითქოს ვერ ამჩნევდა იოგანის მოსვლას, ისე იყურებოდა.

ძია იოგანი მიუახლოვდა მას და თავის ოდნავი დახრით მიესალმა. მერე ორივენი გავიდენ მეორე ოთახში.

განსი სიხარულით ვერ დგებოდა ერთ ადგილზე; მას ძალიან სურდა საუბარი თავის სიყვარელ და მფარველ ძია იოგანთან. მაგრამ ვოლტერის შიშით ვერ ბედავდა მიახლოვებას, რომ ჩვეულებისამებრ იგი მას არ გაჯავრებოდა.

მერე როგორ სძულდა მას ეს ლუდის სარდაფი, სადაც მუდამ ირეოდენ მთვრალი ადამიანები, მუდამ შმორის და სინესტის სუნი იდგა, და ოთახში დადგმული მაგიდები წაქცეული ჭიქებიდან გადმოღვრილი ლუდით იყო მოწუმპული. კუთხეებში იდგა ცარიელი ბოთლები, ყუთები და ეყარა სხვა ათასნაირი სიბინძურე.

განსი შევიდა ვოლტერის ოთახში, სადაც სისუფთავე და სილამაზე სუფევდა. ძლიერ მოეწონა აქაურობა, კუთხეებში დადგმული ლამაზი სავარძლები და კედლებზე გაკრული ნოხები. ძია იოგანი რატომღაც წარბებშეჭმუხვნილი იჯდა, მის გვერდით იდგა მართა ბიცოლა.

— დაუძახე ვოლტერს,—უთხრა განსს ძია იოგანმა, მაგრამ ამ დროს გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა ვოლტერი, რომელმაც ცივად მიმართა იოგანს:

— რატომ მეძახი?

— აი რატომ,—უთხრა იოგანმა,—ეს ბავში უნდა გამატანო. იცოდე. ჯერ მხოლოდ მშვიდობიანად გთხოვ, თორემ.

— თორემ რას იზამ?

— გეტყოდი წყნარად, მაგრამ რაკი გული მომდის, აი რას გეტყვი მხოლოდ: შენ უსვინდისოდ სარგებლობ ბავშის აღმზრდელის როლით, შენ ეს ბავში გადააქციე მოჯამაგირედ, დროა ამას ბოლო მოელოს.

— შენ კი რად გინდა იგი გამოიყვანო? სპარტაკელად, ყუმბარების ამფეთქებლად, არა?

— ეს შენ არ გეხება! ყოველ შემთხვევაში, მოჯამაგირე მაინც არ იქნება.

— თუ ასეა, იცოდე, არ გაგატან ამ ძაღლის შვილს. მე აღმზრდელი ვარ, გესმის?

— მაშინ აბა იგი თვითონ წავა შენგან. არა, განს?—შეეკითხა ახლა იოგანი განსს, რომელიც აქვე შორიახლო იდგა და შიშისაგან ერთიანად ძაგძაგებდა.

— კი, თავად წავალ!

ძია ვოლტერი გაფითრდა და იატაკზე ფეხის დარტყმით დაიღრიალა.

— გასწი აქედან, შე ძაღლის შვილო, შენი ლანდი არ ვნახო აქ, შენ კი, ბებერო ძაღლო,—მოუბრუნდა ახლა იგი ძია იოგანს,—იცოდე, აღმზრდელის კუთვნილ ერთ გროშსაც ვერ მიიღებ, მე არ დაგითმობ მათ, და მეორეჯერ ფეხი არ შემოდგა ამისათვის ჩემს ოჯახში,—სთქვა გაჯავრებულად ეს და გავიდა ოთახიდან.

ძია იოგანმა გულიანად გადიხარხარა და ხელი ჩააქნია. ბიცოლა მართა კი ისევ ძველ ადგილას იდგა უფრო გაშეშებული, განსი კი გაკვირვებული იდგა და არ სჯეროდა, ნუთუ მართლა მოსცილდებოდა იგი ვოლტერის ოჯახს, ბინძურ სარდაფს, მთვრალ ადამიანებს, აცილდებოდა ლახვა, ცრემლი და სხვა ყოველივე უსიამოვნება, რასაც აქ ყოველ წუთში ხვდებოდა. ნუთუ განთავისუფლდებოდა იგი მუცელ გასიებული პოლიციელი ვილის მუქარისაგან, თავის ტოლ-ამხანაგებთან თავისუფლად ითამაშებდა.

— მომისმინე, იოგან. რისთვის წაგეკიდა ვოლტერი, ხომ ხედავ? ხომ გაიგონე რა სთქვა: ფულს არ მოგცემო. შენ კი რით უნდა შესძლო ამ ბავშის რჩენა, ეხლახან დაბრუნდი სატუსაღოდან, მასთანვე ავადმყოფი და ინვალიდი ხარ!

ეროვნული

— არა უშავს მოვუვლი, შიმშილით არ მოვკლავ. აბა, შენ რას იტყვი, განს?

— ვერ მოიქეცი, ჩემო იოგან, კარგად.

— არა უშავს, მართა, იცოდე, არ მინდოდა, რომ ჩემი დისწული მოჯამაგირე ყოფილიყო. მისთვის უკეთესი სხვა რაიმე საქმეც გამოიძებნება.

— როგორ? შენი დისწული, მაგრამ განა განსი ჩემი ძმის შვილიც არ არის.

— მერე, მით უარესი შენთვის. როგორ მოგვიდა ეს შენ, რომ ის სარდაფში მოჯამაგირედ გახადე. ეს შენი დიდი სირცხვილია.

— მაშ აბა რა უნდა მექნა?

— რა უნდა გექნა? იოგანი გაჯავრებული წამოვარდა, კოჭლი ფეხი იატაკს დაარტყა და გაბრაზებულმა დაიწყო ლაპარაკი.

— მე ცალი ფეხი ომში დავტოვე. ამ საცოდავი ბავშის მამა ქრისტეფორე ხომ ცოცხლად დამარხეს სადღაც ვერდენის მახლობლად. იცოდეთ, ტყვილად არ ჩაივლის ეს ყველაფერი. მე თუ არა, განსი მაინც გადაუხდის იმათ სამაგიეროს.--სთქვა ეს ძია იოგანმა და განსს ხელი დაარტყა მხარზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბუნდოვანად ლაპარაკობდა, განსი მაინც მიხვდა, რომ მისი მამა დაღუპულა მდიდრების ნებით, რომელთაც ეხლა სამაგიერო უნდა გადაუხადოს მან, როგორც ამას ძია იოგანი ასწავლის.

მართა ბიცოლამ, თითქოს რისიმე შეეშინდა, სწრაფად შეკრა განსის კუთვნილი ნივთები და გადასცა იოგანს, იოგანმაც ამოიდო იღლიაში ეს პატარა ბარგი, დაემშვიდობა მართას და განსთან ერთად გავიდა ქუჩაში ოთახის მეორე კარიდან იმ მოსაზრებით, რომ ვოლტერს არ შეხვედროდა. განსი გახარებული იყო და პატარა ლეკვივით მისდევდა უკან.

ძია იოგანი სახეშეჭმუხვნილი და ჩაფიქრებული მიდიოდა წინ, განსი კი ახალი გრძნობით ათვალიერებდა სახლებს და ქუჩებს. აი ნაცნობი საპირფარეშო, სადაც ხშირად პირს იპარსავდა ძია ვოლტერი. აი ის დუქანიც, სადაც იგი ხშირად ყიდულობდა სურსათს. მაგრამ აწი არ მოუხდება მათი ნახვა.

როცა კარგა დიდზე გაცილდენ ისინი ამ ადგილებს, ერთ ქუჩაზე მათ წინ შემოხვდათ მუცელგასიებული პოლიციელი.

— აჰა, სალამი, რამდენი ხანია არ გვინახავს ჩვენ ერთმანეთი,—უთხრა მან ძია იოგანს.

— სალამი,—უპასუხა მას ცივად იოგანმა და გვერდის ავლა დააპირა, მაგრამ ვილი ისევ დაელაპარაკა:

— საით მიიჩქარი, რატომ ლაპარაკს არ კადრულობ, ეს ბავში საით მიგყავს?

— მიმყავს შინ, ჩემთან, ის ხომ ჩემი დისწულია და, მაშასადამე, ის ჩემთვის უფრო ახლობელია, ვიდრე ვოლტერისათვის.

— ეს ასე, მაგრამ ვოლტერი მაგის ამბრდელია.

— ამით რა გსურთ სთქვათ?

— არაფერია, ისე მოვაგონე, მაგრამ ეს მითხარი შენ რა უნდა უყო აწი ამ ბავშს, რა უნდა გამოვიდეს მისგან? სპარტაკელი, არა?

— ოჰ, არა, ჩემი ფიქრით, პოლიციელი და ისიც ისეთი, როგორც შენ,—უპასუხა ძია იოგანმა და გულიანად გადიხარხარა.

კიდევ გაიარეს რამდენიმე უბანი და ისინი ორივე ჩასხდენ ტრამვაიში, რომელიც წავიდა ქალაქის იმ უბნისკენ, სადაც ღარიბი მუშები, მატროსები და მათხოვრები ცხოვრობდენ. აქ, ამ ბინძურ და ღარიბ უბანში, ზღვისა და ნავსაყუდის ახლოს, დაიბადა ოდესღაც განსი ერთ ღარიბ მუში ოჯახში. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და განსი ახლა ხელმეორედ უბრუნდებოდა თავისი ნაცნობ ადგილს.

II.

ბნელ ოთახში, რომელსაც ფანჯრები ზღვისაკენ ჰქონდა, იჯდა იოგანი, რომელიც თავს დაღლილად გრძნობდა. განსი კი იდგა საწოლის ახლოს და თავის ბარგს ხსნიდა. პირველად ამოალაგა ხალათი და მერე თითქმის დახეული შალი, რომელიც მას დედისაგან დარჩა და საბნის მაგიერობას უწევდა.

გახსნა იგი თუ არა, იქიდან გადმოვარდა რაღაც სურათი, რომელიც პირდაპირ ძია იოგანის ფეხებთან დავარდა.

— რა არის ეს? იკითხა ძია იოგანმა, თან სურათის ასაღებად დაიხარა.

— ეს მამა, დედა და მე ვართ,—უპასუხა განსმა.

— სწორია, ეს მამაშენი და დედაშენია, ესეც შენ ხარ, მაგრამ ეს ვინაა.

— როგორ ვერ იცანი, ძია იოგან, საკუთარი თავი?

— როგორ, განა ეს მე ვარ? წარმოიდგინე, რას უშვება ადამიანს წლები. როდის იყო, ნეტავ, ეს ამბავი?

— ეს, ძია, მაშინ იყო, როცა მობილიზაცია გამოცხადდა, შენ რომ ომში მიდიოდი. მახსოვს, მოდი ჩვენსას, ჩვენც წავედით და ერთად გადავიღეთ ყველამ სურათი.

ძია იოგანმა პირველად ვერ მოიგონა ეს ამბავი, მაგრამ შემდეგ თანდათან გაახსენდა და თვალწინ წარმოუდგა ეს განვლილი შემთხვევა, როცა მივიდა განსის მამის ოჯახში და მათ სურათი გადაიღეს. მოაგონდა ფოტოგრაფიც.

— ოჰ, მაგონდება, ეს მართლა ასე იყო—სთქვა მან და ამ ფოტოგრაფიული სურათის კედელზე ჩამოკიდება დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დეე, ეს სურათი ეკიდოს აქ, რომ თვალწინ მქონდეს ის დრო, როცა ისეთი ვირთაგვა ვიყავი, რომ კაპიტალისტებს ვიცავდი.

კარები ვილაცამ დააკაკუნა.

ძია იოგანის დაძახილზე: „შემობრძანდით“ შემოვიდა ვილაც სათვალებიანი ქალი.

— აჰა, ამხანაგო ფიბიხ!—მისალმებით უთხრა ძია იოგანმა მას და ხელი გაუწოდა, თან ცალი თვალით განისკენ ანიშნა.

— როგორ შესძელით, რომ ეს ბავში მოაცილეთ იქაურობას?

— შევძელი როგორღაც, მაშ რა უნდა მექნა,— უპასუხა ძია იოგანმა.

— სალამი, განს, რამდენი ხანია არ მინახავხარ.

— სალამი, ბიცოლა ფიბიხ. სადაა თქვენი ვაჟი?

— როგორ, განს, შენ იცნობ მას?

— არა, მაგრამ თქვენ ამბობდით, რომ ვაჟი გყავთ, ისიც ჩემზე უფროსი.

— ყოჩაღ, რა კარგი მეხსიერება გქონია. რამდენი წლისაა ახლა განსი?—შეეკითხა მერე იგი იოგანს.

— თერთმეტის.

— ჩემი პავლე ცოტა უფროსია, მაგრამ განსი მასზე უფრო დიდია.

— ოჰ, განსს ეტყობა, რომ მამასავით ჯანსაღი იქნება—დაუმატა იოგანმა.

განსს ეს ქალი კარგად ახსოვდა: იგი პირველად ნახა ინვალიდების სახლში, სადაც მან ძია იოგანს მოუტანა რაღაც და განსსაც აჩუქა კამფეტი. ძია ვოლტერი ამ ქალის შესახებ ამბობდა, რომ ის „სოციალისტია“.

— დროა, ამხანაგო იოგან, შეუდგეთ თქვენს მოვალეობას— უთხრა ფიბიხმა იოგანს.—შესაძლოა თქვენ ციხეებში ამდენი ხნის ჯდომის შემდეგ უკვე დაკარგეთ მათხოვრობის უფლება.

— შესაძლოა. იქნებ მართლაც დავკარგე. ჯანდაბა მას, სხვა საქმესაც ვიშოვნი.

— რა საქმე უნდა იშოვო, მაინც?

— გაზეთების გამყიდველად დავდგები.

— ეს არამომგებიანი საქმეა.

— სამაგიეროდ ხალხთან მექნება საქმე, და იქ შეიძლება, შენ რომ იცი, იმის გაკეთებაც.

— ჰო, მესმის, აგიტაციის გაწევა ასე სჯობია.

— კი, მაგრამ როგორ უყურებს ამ საქმეს პარტია.

— ის წინააღმდეგი არ იქნება.

ამ დროს ვილაცამ შემოიხედა ოთახში.

— დედა, შენ აქ ხარ?

— მოდი აქ, პავლე.

ოთახში შემოვიდა, პატარა ყმაწვილი, რომელსაც უკვე სათვალეები ჰქონდა და ჰკვიანურად გამოიყურებოდა.

ჟურნალ „პიონერის“ თანამშრომელი
ს. ერთაწმინდელი.

— აი, განს, ესაა ჩემი ბიჭი, გაიცანი, იყავით მეგობრულად.

პავლემ გაუწოდა ხელი განსს და მათ მეგობრულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

— დედა, მე ძალიან მშია, წავიდეთ სასადილოდ —უთხრა მან დედას და გარეთ გავიდა. წასვლის წინ ფიბიხი მიუახლოვდა განსს და უთხრა:

— აი, განს, მე მივდივარ, წამოდი, შენც ჩემთან ისადილე!

III.

ძია იოგანი გაჰყვა სასადილოდ ფიბიხს, განსი ცოტა გაჯიუტდა, მას არ მოეწონა პავლე.

— რა საძაგელი ბავშია,—ამბობდა თავისთვის იგი, როცა ოთახში მარტო დარჩა. ცოტა მოიწყინა კიდეც, გაიფიქრა ბიცოლა მართასთან დაბრუნებაც, მაგრამ მერე გაიფიქრა—არა, ძია იოგანთან სჯობია. რომ პავლე არ მომწონს, ეს ხელს არ მიშლის, რომ ძია იოგანთან ვიცხოვრო.

იგი ოცნებამ გაიტაცა, ფიქრობდა იმის შესახებ, თუ როგორ გაყიდდა ძია იოგანთან ერთად გაზეთებს და როგორ გადაუხდიდა სამაგიეროს მდიდრებს. ფიქრებში გართულმა ვერ შენიშნა, როგორ შემოვიდა ოთახში პავლე, რომლის ხმაზეც გამოერკვა.

— შენ რისთვის არ მოდი ჩვენთან?

აი შენ პური და ყავა კარაქით, დედამ გამოგიგზავნა. აიღე და სჭამე, ხომ არ გრცხვენია?

განსს მართლა შერცხა, არ უნდოდა აეღო, მაგრამ პავლემ მოტანილი საჭმელები წინ დაუდგა.

— ნუ სულელობ, სჭამე მალე, ჩემი ხომ არ გრცხვენია, ჩვენ, ხომ იცი, მეგობრები უნდა გავხდეთ, რადგან ჩემი მამა ძია იოგანის მეგობარი იყო.—ეუბნებოდა ამას პავლე და თან ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დადიოდა ოთახში. განსს მოეწონა პავლეს სიტყვები, იგრძნო მისი გულკეთილობა და ჭამას შეუდგა.

— ძია იოგანი სადაა?—ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა

— ის ჩემ დედასთან ერთად წავიდა.

— საით?

— ეს შემიძლია გითხრა, მხოლოდ ერთი პირობით: თუ არ ეტყვი არავის რასაც მე გიამბობ.

— რასაკვირველია.

— ისინი კრებაზე წავიდენ, — თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა პავლემ.

— რომელ კრებაზე?

— პარტიულ... გესმის, ფარულ კრებაზე? სადაც იკრიბებიან ნამდვილი რევოლუციონერები.

— კი, მაგრამ რას აკეთებს იქ ძია იოგანი?

— ამის თქმა ძნელია, ამას მე ხომ არ მეტყვიან. მაგრამ, ერთი სიტყვით, იქ ისინი რევოლუციას ამზადებენ.

— რომელ რევოლუციას, რევოლუცია ხომ იყო უკვე.

— ის რა რევოლუცია იყო!

— კაიზერი ხომ ჩამოაგდეს?

— ეს საკმარისი არაა.

— აბა შენ კიდევ რა გსურს?

— რა და საჭიროა ყველა ფაბრიკა, მიწები და ქარხნები ჩამოერთვას მდიდრებს.

— მერე ვისი უნდა იქნეს ის?

— ჩვენი.

— ჩვენი? რას ამბობ, ჩვენ ვინ მოგვცემს იმათ?

— რასაკვირველია, ნებით არავინ მოგვცემს, მაგრამ ძალით უნდა წავართვათ. გესმის?

— მართლა შეიძლება მერე ეს?

— რატომ არა! მხოლოდ ამის შესახებ სხვაგან არაფერი სთქვა. ეხლა კი მითხარი, რევოლუციის დროს შენ სად იყავი?

— ბიცოლა მართასთან ვცხოვრობდი, რადგან ძია იოგანი ციხეში იჯდა.

— ვიცი, მე და დედა დავდიოდით მასთან ციხეში, ის, ხომ იცი, სპარტაკელია.

— შენი მამა?

— მამა არ ვიცი, დედა კი სპარტაკელია.

— მამა რისთვის არაა სპარტაკელი?

— რა ვიცი, იგი სუსტი ადამიანი, თან სოციალ-დემოკრატებთან დაძვრება.

— სოციალ-დემოკრატებთან რა უნდა?

— რა ვიცი, რა ეშმაკი უნდა, ისე კარგი კაცია, მხოლოდ სპარტაკელი კი არაა. იცოდე, განს, რაც გითხარ, ეს არავის არ უთხრა.

— არა, როგორ ვეტყვი, არც ისე ბავში ვარ.

— მაშ მოიტა ხელი, ჩვენ აწი მეგობრები ვართ.

განსმა გაიწმინდა კარაქით დასვრილი ხელი და მაგრად ჩამოართვა პავლეს.

— ეხლა მომიყევი შენი ცხოვრების შესახებ, როგორ ცხოვრობდი დედის სიკვდილის შემდეგ.

— როგორ ვცხოვრობდი? დედის სიკვდილის შემდეგ მე წამიყვანა ძია ვოლტერმა. ის იყო ჩემი აღმზრდელი. დილით სკოლაში დავდიოდი, ნასადილევს კი ლუდს ვყიდდი ძიას სარდაფში. იქ ბევრი ხალხი იკრიბებოდა, თვრებოდენ და ხშირად ჩხუბობდენ კიდეც. ერთხელ მოხდა ასეთი ამბავი: მოვიდა ერთი მეზღვაური. იქვე გაზეთს კითხულობდენ, სადღაც რაღაც დიდი რევოლუცია მომხდარაო.

— აჰა, ეს, ალბათ, რუსეთის რევოლუცია იქნებოდა.

— ჰო, და აი სწორედ ეს მეზღვაური ამბობდა: ხომ ხედავთ, რუსები თავს ანებებენ უკვე ომს, დროა ჩვენც ჰოვუღოთ ბოლო ამ საძაგლობას, ხომ ხედავთ, რუსები ნიკოლოზს უკვე მარხავენ, დროა ჩვენც ზღვაში გავგზავნოთ თევზების დასაჭერად ჩვენი კაიზერიო, და მან გულიანად გადიხარხარა. სხვებმაც გაიცინეს, მაგრამ აგერ წამოხტა ვიღაც, მორთო ყვირილი. „ტუტუცო, როგორ ბედავ კაიზერს შეურაცხყოფა მიაყენო?“ მეზღვაურმა ერთი გადახედა მას და სიცილით უთხრა: „მაშ კაიზერის მაგიერ შენ იცურავე“ — და ლუდით სავსე ჭიქა შეასხა სახეზე. გაიმართა ჩხუბი. მეზღვაურს სხვებმაც დაუჭირეს მხარი, მაგრამ მოვიდენ პოლიციელები და მეზღვაური დაპატიმრებული წაიყვანეს, თუმცა შემდეგ კიდევ ვნახე იგი.

— სად ნახე მერე?

— ძია იოგანთან იყო.

— ხომ არ იცი, რას ეძახიან?

— მგონი მარტინი ქვიან.

— მარტინი, ოჰ, მას მეც კი ვიცნობ, იგი სპარტაკელია, იგი მაშინ ალბათ აგიტაციას ეწეოდა იმ ლუდის სარდაფში.

— ალბათ ასე იქნებოდა.

— შენ ეს მითხარი, ჯარის ყაზარმაში თუ ხარ ნამყოფი.

— როგორ არა, მაგრამ მე ჯარისკაცობა არ მინდა.

— არც რევოლუციის ჯარისკაცობა?

— ეს რა ვიცი.

— როგორ არ იცი, ბურჟუები ხომ უნდა ამოვხოცოთ? ძია იოგანიც ჩვენთან იქნება.

— მაშინ აბა მეც თქვენთან ვიქნები. — უთხრა განსმა პავლეს.

IV.

უკანასკნელ დროს ძია იოგანი სრულიად არ იყო სახლში. განსი სანახევროდ ფიბიხის ოჯახში ატარებდა დროს და პავლესთან ერთად დადიოდა სკოლაში. ბავშები ძლიერ დამეგობრდენ.

ერთხელ პავლემ უთხრა განსს:

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერები სწერენ შენიშვნებს ჟურნალ „პიონერისათვის".

— იცი, განს, ბავარიაში მალე ნამდვილი რევოლუცია იქნება, ბერლინშიც კიდევ. იქ მას ლიბკნეხტი მეთაურობს თურმე.

— შენ საიდან იცი.

— როგორ არ ვიცი, განა არ გაგიგონია, გუშინ სროლა რომ იყო? ნავსადგურში მეზღვაურები ისროდენ, არ აძლევდენ უფლებას იარაღით დატვირთული გემი წასულიყო რუსეთისაკენ, რადგან თეთრგვარდიელებისათვის იარაღის მიწოდებას აპირებენ.

— რა კარგია ახლა რუსეთში ყოფნა!..

— არა უშავს, მალე აქაც უკეთესი იქნება.

ძია იოგანის მოქმედებაზე მართლაც და ადვილი შესამჩნევი იყო, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. ის დილიდან საღამომდე დარბოდა. უკვე გაზეთებსაც არ ყიდდა, არამედ მუშაობდა მთლიანად პარტიულ დავალებებზე. ერთხელ საღამოს მან გადასცა განსს ქაღალდების მთელი დასტა და უთხრა: „დამალე და, იცოდე, არავინ არ გინახოს, თორემ ამ ქაღალდებისათვის შეიძლება ხუთი წლით ჩასვან კაცი ციხეში. ისინი უნდა გაიკრას ქუჩებში, რომ გავაღრმაოთ რევოლუციონური მზადება. ეხლა კი დაიმახსოვრე, თუ ხვალ ვერ მოვედი, მაშინ მეძებეთ პოლიციის უბანში, ან მკვდრებს შორის".

იგი გამოემშვიდობა განსს და წავიდა. განსი ჩამოჯდა ლოგინზე და კითხვა დაიწყო:

„მუშებო და გლეხებო! რუსეთის მუშათა კლასმა და გლეხობამ უკვე დაამსხვრია კაპიტალისტების და მემამულეების ბატონობა, აიღო ხელში ძალა-უფლება, ჩამოართვა მათ მიწები, ფაბრიკები. ეხლა ჩვენი ჯერია! წინ, ბრძოლისაკენ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ! ძირს შემთანხმებლები!..

— რას კითხულობ?— შემოესმა უცებ განსს პავლეს ხმა.

განსი შეკრთა და ქაღალდების დამალვა დააპირა.

— რას მალავ, მე უკვე ვიცი, ეს რაც არის. ის დედას ტიპოგრაფიაშია დაბეჭდილი. ხვალ დიდი ამბები იქნება და ჩვენც უნდა დავარიგოთ ეს ქაღალდები, ისინი კი უკვე კრებაზე წავიდენ.

ბავშები დიდხანს ისხდენ ოთახში და საუბარს განაგრძობდენ. ახლა ლაპარაკი გადავიდა სკოლის საქმეებზე.

— იცი, სკოლაში რა ბრძოლა ხდება? ორათაა მთელი მოწაფეობა გაყოფილი. ერთს მეთაურობს ბურჟუის შვილი დიტრიხი და, მიუხედავად იმისა, რომ ის კამფეტებით ყიდულობს ბავშებს, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ.

— მეც ასე ვფიქრობ!

— ნუთუ ვერ მოვერევით.

მატე ზალკა.

(გაგრძელება შემდეგ)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა ვიცოდეთ ჩვენი ჟურნალის შესახებ.

ყოველი ჟურნალი, როგორი ხასიათისაც გინდა იყოს იგი, დიდძალ შრომას და საქმეს მოითხოვს.

ასეთივეა ჟურნალი „პიონერიც“, სადაც არა თუ ჟურნალის მთელი ხელმძღვანელობა და საქმიანობა, არამედ თითოეული ნომრის გამზადება და გამოშვება საკმაოდ დიდი შრომის ნაყოფია.

მაგრამ არიან ისეთი ბავშვები, რომლებიც შეიძლება ბეჯითად კითხულობდენ კიდეც ჟურნალის ყოველ ნომერს, არასოდეს კი არ უფიქრიათ იმის შესახებ, თუ რამდენი შრომა და ენერგია დახარჯული ამ ნომრის გამზადება-გამოშვებაზე.

სინამდვილეში კი ჟურნალის ყოველ ნომერში მონაწილეობას იღებენ მთელი რიგი მწერლები, მხატვრები, სხვადასხვა საჭირო საკითხების მცოდნე პირები, რედაქტორი, ტიპოგრაფიის მუშები, კორექტორები და სხვ.

ამიტომ ყოველ ჟურნალს, ჟურნალის ყოველ ნომერს, რაც შეიძლება სერიოზულად უნდა მოვეპყროთ, გამოვიყენოთ იგი რაც შეიძლება სათანადოდ, რომ ტყვილა-უბრალოდ არ ჩაიაროს მასზე დახარჯულმა შრომამ. ამას გვავალებს შრომის დაფასება და ამავე დროს ცოდნის შეძენის აუცილებლობა.

ჩვენში ხშირად მეტად ცუდად კითხულობენ ჟურნალს და მეტად ცუდად ეპყრობიან მას.

ახლად გამოსული ნომერი პირველად ყველას ახარებს, ყველა მოუთმენლად ათვალიერებს მასში სურათებს, შლის, ფურცლავს, მაგრამ შემდეგ უყურადღებოდ სტოვებენ, მიაგდებენ სადმე კუთხეში და უცდიან შემდეგ ნომერს, რომ მასაც იგივე ბედი არგუნონ, დახიონ ან მიაკარგონ სადმე.

ნამდვილად კი საჭიროა, რომ ჟურნალი ასე არ იკითხებოდეს, არამედ გვქონდეს ერთგვარი წესი; მიიღებ თუ არა ჟურნალს, ის უნდა ჩააკერო ყდაში და ამრიგად თავი მოუყარო მთელ კომპლექტს.

ისმება საკითხი: მერე ვინ უნდა ჰქნას ეს? რასაკვირველია, ყოველმა პიონერმა, რომელიც კი კითხულობს საზოგადოდ რომელიმე ჟურნალს, და უპირველეს ყოვლისა ჩვენს ჟურნალ „პიონერს“. როგორ უნდა ხდებოდეს მერე ეს? რასაკვირველია, კოლექტივებში ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულების, სკოლებში კი სამკითხველოს მეგობართა წრეების მეოხებით და მტკიცე პასუხისმგებლობის ქვეშ.

იციან თუ არა ბავშვებმა კითხვა? უმეტესობამ იცის, მაგრამ იციან თუ არა ბავშვებმა ჟურნალის კითხვა? ცხადია, არა. ვინაა ამაში დამნაშავე? სკოლებში უსათუოდ მასწავლებლობა, რომელიც ნაკლებად უხსნის ბავშვებს ჟურნალის კითხვის საჭიროებას, რა კოლექტივში—ხელმძღვანელი, რომელმაც შეიძლება თვითონაც არ იცის არაფერი ჟურნალების მნიშვნელობის შესახებ. ოჯახში დედ-მამა, რომელთაც ჟურნალის გამოწერა სისულელედ მიაჩნიათ, ყველაფერი ეს კი ჰქმნის იმ გარემოებას, რომ ბავშვების უმეტესობა ნაკლებად კითხულობს ჟურნალებს. ავიღოთ, თუგინდ, ჟურნალი „პიონერის“ მდგომარეობა.

რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ 85.000 პიონერს შორის ათასი ნომერიც კი არ საღდება? იქნებ ჟურნალი არ ვარგა, ვერ იძლევა იმას, რაც ბავშვებისათვის აუცილებელ და საჭირო საზრდოს წარმოადგენს? ამას, რასაკვირველია, ვერავინ იტყვის; ჩვენ ვიცით ჩვენი ჟურნალის ბეჯითი მკითხველების შეხედულებანი და ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავშვების უმრავლესობას ცუდად აქვს შეგნებული ჟურნალის მნიშვნელობა.

მთელი რიგი კოლექტივებია, მთელი რიგი სკოლები, სადაც არც კი იციან ბავშვებმა არაფერი იმის შესახებ, რომ ორი წელიწადია უკვე, რაც არსებობს მოზარდი თაობის ისეთი ჟურნალი, როგორიც „პიონერია“. ეს, სამწუხაროდ, ფაქტია და ამის დაფარვა არავის შეუძლია.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მრავალი ბავში მიჩვეულია ზერელე კითხვას, ხშირად კმაყოფილდება წიგნის გადაფურცვლით და მასში მოთავსებული მოთხრობების, ლექსების ან წერილების სათაურების ამოკითხვით, ეს კი მავნე ჩვეულებაა და საჭიროა მას ვებრძოლოთ ყოველთვის, როგორც დაუდევრობას და ცუდლუტობას.

რა საჭირო იმისათვის, რომ ჟურნალი ფართოდ იკითხებოდეს? რასაკვირველია, ჟურნალის პოპულარიზაციის საქმე და ბავშვებში კითხვის სიყვარულის განვითარება, ამისათვის კი საჭიროა ჟურნალი ხშირად იკითხებოდეს ხმამაღლა რგოლში, ჯგუფში, კოლექტივში, სკოლის ოთახში; კარგია ჟურნალის ყოველ ნომერზე საუბრის ჩატარებაც, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ხელმძღვანელმა, მასწავლებელმა, შეუკავშირებელ ბავშვებს შორის პიონერმა და სხ.

რისთვისაა საჭირო მაინცდამაინც, რომ ჟურნალს ბეჯითად ვკითხულობდეთ? იმისათვის, რომ ჟურნალის მეოხებით ყოველთვიურად ვეცნობოდეთ ჩვენთვის საინტერესო ყოველდღიურ საკითხებს, მოვლენებს, ყველა იმას, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, ვეცნობოდეთ იმას, როგორ ცხოვრობენ ჩვენი და უცხო ქვეყნის პიონერები, თუ როგორ უნდა ჩავატაროთ რომელიმე მნიშვნელოვანი დღესასწაული, როგორ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რა უნდა ვიცოდეთ, როგორ უნდა მოვაწესრიგოთ სკოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლის საქმეები და სხვა მრავალი ათასი საჭირბოროტო ამოცანა, რომელთა შესახებ ყოველთვის უამრავი ცნობა და მასალა თავსდება ჩვენს ჟურნალ „პიონერში.“

გავიხსენოთ, თუგინდ, წინა ნომრებში ასეთ საკითხებზე დაბეჭდილი წერილების სათაურები: „სოფლად პიონერთა მუშაობა ოჯახში“, „რა არის ინდუსტრიალიზაცია“, „კრასინმა გადაარჩინა ნობილეს თანამგზავრები“, „როგორ ემზადებიან კაპიტალისტური ქვეყნები ომისათვის“, „წითელი დროშის ისტორია“, „როგორ იბრძოდენ პატაია რევოლუციონერები“, „სალამი სკოლას“, „როგორ აკეთებენ კინო-სურათებს“, „ჩვენი ძმები მსოფლიოში“, „ჩინელი პიონერები“, ცნობები რადიოს შესახებ და სხვა მრავალი, — ყველაფერი ის, რაც არ შეიძლება არ ვიცოდეთ ჩვენ.

მაგრამ განა ამით ამოიწურება ჟურნალის შინაარსი?

განა აქვე არ იბეჭდება მთელი რიგი საინტერესო მხატვრული მოთხრობები, როგორც, მაგალითად, **კ. კალაძის** და **კ. ლორთქიფანიძის** „გივარგილა“, ს. კასრაძის „თავგანწირული მეზღვაური“, „სანაპირო ქალაქი“, „პიონერები ბანაკად“, „ჟუჟა“, ლექსებში ალ. მაშაშვილის „პიონერების მარში“ და სხვა ამგვარი? ან განა შეიძლება ყველაფერი იმის ჩამოთვლა, რაც ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილა? ეს შეუძლებელია და არც საჭიროა, რადგან ეს ყველაფერი ისედაც უნდა იცოდენ ჩვენმა მკითხველებმა.

რა უნდა ვიცოდეთ მაინც ჩვენი ჟურნალის შესახებ?

უპირველეს ყოვლისა ის, რომ ჟურნალი „პიონერი“ ჩვენი ჟურნალია, რომელიც ხელს უწყობს მოზარდ თაობას კომუნისტურად აღზრდის საქმეში და მისი ცხოვრების წესიერ მოწესრიგებაში. ამისათვის კი საჭიროა ყოველმა პიონერმა კარგად იცოდეს ჟურნალის ეს მნიშვნელობა და ყოველ წუთს ახსოვდეს, რომ მისი ვალდებულებაა დაეხმაროს მას.

რით უნდა დაეხმაროთ ჟურნალს?

პირველ ყოვლისა იმით, რომ გახდეთ ჟურნალის აქტიური მკითხველები, მჭიდრო კავშირი გააბათ რედაქციასთან, მოსწეროთ, რა არ გაინტერესებთ მასში, რა საკითხები უნდა გაშუქდეს; მოაწოდეთ საკუთარი ცხოვრების და შემოქმედების შესახებ ცნობები და სხვა მრავალი.

გაწიეთ ფართო აგიტაცია ჟურნალის გასავრცელებლად, რომ არ დარჩეს არც ერთი ბავშვი, რომელმაც არ იცოდეს ჟურნალის არსებობა; აწარმოეთ ჟურნალზე ხელის მოწერა ყოველ კოლექტივში, ყოველ სკოლაში, სწერეთ მის შესახებ კედლის გაზეთში, გააკრიეთ პლაკატები ლოზუნგებით.

აი რა უნდა იცოდეს და როგორ უნდა დაეხმაროს ყოველი პიონერი ჟურნალ „პიონერს“!

ცუდი პიონერია ის, ვინც არ კითხულობს და ცუდად იცნობს საკუთარ ჟურნალს „პიონერს“, რომლის არსებობის ორი წლის თავს უკვე ვდღესასწაულობთ.

ალ. სულავა



პიონერ-ხელმძღვანელი ამხ. გ. ჩანკვეტაძე ესაუბრება პიონერებს ჟურნალ „პიონერის“ შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის დღეები.

მოქმედი პირნი:

მამა (მუშა)	43 წლის.	
ლადო	15 „	მისი შვილები
ბორისი	13 „	
ირინე	12 „	
თამიკო	5 „	
გოგი	7 „	

სცენის უკან ხალხის მოძრაობა, სროლა.

მუშის სუფთა, მაგრამ ღარიბი ოთახი. მარცხენა გვერდით პატარა ფანჯარა, პირდაპირ—ფართო კარები. კუთხეში ქურა, თაროში აწყვია ჭურჭელი და სამოვარი. ოთახის შუაში სდგას დიდი მაგიდა, რომელსაც მოსჯდომია ბორისი და წიგნს კითხულობს; ეტყობა, ძალიან გატაცებულია კითხვით, ღელავს. მოშორებით ტახტზე ზის ირინე და დახეულ საცვლებს აკერებს. იგი რაღაცით აღშფოთებულია, ყურს უგდებს ხმაურს და ხშირად ფანჯარაში იყურება. იატაკზე სხედან თამიკო და გოგი, თამაშობენ უბრალო კუბიკებით და ჩითის ნაჭრებით. თამიკო სახლს აშენებს. ოთახში სინათლეა და სიწყნარე.

გოგი — (თამიკოს) ეს კუბიკი იქით დადგი, ეს კი აქეთ. ასე ლამაზი იქნება, არა?

თამიკო—კარგი (გადასვამს კუბიკებს, უყურებს და იტყვის) არა, ასე არ ვარგა. მე დავშლი სულ მთლად. ავაშენებ ხელახლად მეორე დიდ, ლამაზ სახლს, რომ შიგ ყველამ შესძლოს ცხოვრება!..

გოგი — მერე, შენ ეს შეგიძლია?

თამიკო—(დაჯერებული) რასაკვირველია, შემიძლია...(ორივენი შლიან კუბიკებს, თამიკო ხელახლა აშენებს სახლს, გამოდის რაღაცა ფართე, დიდი.)

გოგი -- (ყურადღებით დახედავს შენობას და მიმართავს დას) სად არის მამა? ჯერ არ მოსულა?

ირინე-- (სევდიანად) მამა? არ მოსულა ჯერ. მთელი ღამე მენთო ლამფა და ველოდი... (გოგი ჩაფიქრდება; თამიკო დინჯად განაგრძობს თავის სახლის შენებას).

ირინე— (ფრთხილად, რომ ბავშებს არ შეშინდეს) მამამ სთქვა, თუ არ მოველი, თქვენ დეიდა ანეტასთან წადითო.

გოგი — (შეშფოთებული) მამამ სთქვა, რომ არ მოვა? (თამიკო ხელმეორედ ყურს უგდებს)

ირინე— (დაჩამშვიდებელი ხმით) არა, მოვა, კიდევ უნდა მოუცადოთ ცოტა (ჭკერავს.)

გოგი — (მიირბენს ფანჯარასთან, სკამზე შედგება და ქუჩას გადახედავს) უუ! რამდენი ხალხია დღეს ქუჩაზე... უუ! რამდენი ხალხია!.. რატომაა ეს?..

ირინე—რა ვიცი, ლადოც წავიდა. (გოგი განაგრძობს ფანჯარაში ყურებას).

ირინე— (ნელა მღერის) „არარა იყო შიში და ძრწოლა, მის წარმს ოდნავად ვეღარ მოხრიდა“.

თამიკო—ამას ხომ მამა მღერის შუდამ (მისი სახლი უკვე მაღალია და ლამაზი).

ირინე— (შეშფოთებული) რა არის, რომ ლადო აღარ ბრუნდება? ძამამ ხომ სთქვა, უჩემოდ ქუჩაში არავინ გახვიდეთო!...

გოგი — (გაკვირვებული) რატომაო? (ამ დროს უცბად ბორისი წამოვარდება სკამიდან და აღშფოთებული ყვირის და მუშტებს ურტყამს მაგიდას).

ბორისი ეს არ შეიძლება... არ შეიძლება... ამერიკაში მივდივარ!.. (ბავშები ძალზე შეშინდებიან, ყველანი გარს ეხვევიან ბორისს).

ირინე— რა მოგივიდა, რა არის?

ბორისი—მე წავიკითხე „ბიძია თომას ქოხი“ მონების შესახებ...

ირინე— (მოწყვეტით დაეცემა სკამზე) მერე, განა შეიძლება ადამიანის ასე შეშინება?.. მერე რა წაიკითხე?..

ბორისი—(აღელვებული) მე წავალ ამერიკაში.. იქ თეთრები იჭერენ შავკანიანებს, თოკებს უჭერენ, როგორც მხეცს.. აიძულებენ იმუშაონ მათთვის დღედაღამე, მთელ ძალ-ღონეს სწუწნიან და მერე აგდებენ ულუკმაპურაროდ გარეთ. ასე იხოცებიან შავკანიანები... ისინი ჰყიდიან პატარა ბავშებს, აშორებენ საბრალოებს დედებს... არ შემიძლია მეტის მოთმენა. მე წავალ ამერიკაში მონების გასათავისუფლებლად.

ირინე— (ჩაფიქრებული) მამამ სთქვა, ჩვენც მონები ვართო. (პატარა ბავშები ძალზე დაინტერესებული უგდებენ ყურს.)

ბორისი—(გაკვირვებული)მამამ სთქვა, ჩვენ მონები ვართო?

ირინე— (ლაპარაკობს სულ უფრო აღფრთოვანებული) რა საკვირველია, მერე? შენ ეს არ გესმის? ნუთუ სადაც მამა მუშაობს, იმ ფაბრიკის პატრონი მამას იძულებულს არ ხდის მისთვის იმუშაოს დღედაღამ, ნუთუ ვერ ხედავ, რომ მამა ხშირად ავადმყოფობს... რატომ მოკვდა ჩვენი დედა? როდესაც დედა მუშაობდა ფაბრიკაში, ცხვირპირი მუდამ შეკრული ჰქონდა ხილაბანდით, რომ აო ესუნთქა ტყვიის მტვერი, მე მინახავს ბევრჯერ.. მაგრამ განა გადარჩებოდა .ერთ დღესაც ხველება დააწყებინა და, როდესაც მოკვდა, მამამ სთქვა: ის ჩვენმა ბატონმა შეჭამაო..

თამიკო—(შეშინებული) ამის უფლება ვინ მისცა მას?

ირინე— (განრისხებული) ვინ მისცა? ბურჟუაზიულმა მთავრობამ.. აი ვინ... ჩვენი ლადო? მან მხოლოდ ერთი წელი იმუშავა ფაბრიკაში და როგორ ჩამოხმა. მე კი ყოველთვის დიდივით ვმუშაობ... შენი ბედნიერებაა, ბორის, რომ მამამ მიგცა სკოლაში, თორემ შენც ასეთ მდგომარეობაში ჩავარდებოდი... გოგი კი ჩვენსავით აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდება!

გოგი — ჩვენც თოკებით შეგვკრავენ?

ირინე— (აღშფოთებული) უარესი... თოკის გაწყვეტა შეიძლება. აი, მამას ფაბრიკანტი ჯამაგირს აძლევს... მან უნდა მოითმინოს, რომ პავშები მარტო ხმელა პურით გამოკვებოს, სხვა რამეზე არ ჰყოფნის... აი, მაგალითად, მას შეუძლია ჩვენ ყველას გვასწავლოს?—არა... ლადო არ სწავლობდა... მარტო ბორისი სწავლობს და ვიდრე იგი არ გაათავებს, ჩვენ ვეოცერთი ვერ ვისწავლით... ჰო... და, აი, უნდა მოვითმინოთ.

ბორისი—(გაშტერებული) მე არ მოვითმენ. მე წავალ... (ფანჯრიდან მოისმის სროლა, ხალხის ხმაური და ყვირილი. ბავშები მიცვივდებიან ფანჯარასთან).

ირინე— (შეშინებული) რა ამბავია? სადაა ლადო?..

გოგი — (ფანჯარასთან) რამდენი ხალხია, დედაჩემო!.. ყველა მირბის...

ბორისი—აი ლადო... ჩვენი ლადო! (ირინე მირბის კართან, შემოდის აღელვებული ლადო).

ლადო—მამასაგან წერილია (ბავშები შემოიკრიბებიან ლადოს ირგვლივ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორისი—წერილი რატომ მოიტანე? სადაა მამა? ვინ მოგცა?

ლადო—მამას ამხანაგმა. მამა გუშინ კრებაზე იყო. ღამე დაწერა წერილი ჩვენთან. მამას ამხანაგმა სთქვა, რომ მამა არ დაბრუნდება. (ირინე და ბავშები გაფითრდებიან).

ბორისი—მომეცი წერილი... მომე... (აკანკალებული ხმით კითხულობს) „ბავშებო, ჩემო იმედო, ხუთეულო. თუ ვერ მოასწარით დეიდა ანეტასთან წასვლა, იჯექით სახლში წყნარად. მე არ ვიცი, როდის დავბრუნდები. ლადო იზრუნებს თქვენზე. დეე, ბორისმა ისწავლოს. მუშებს უნდათ სწავლული ხალხი, რომ უკეთესად იბრძოლონ ბურჟუების და ბემამულეების წინააღმდეგ. გახსოვდეთ თქვენი მამა სტეფანე“. (ბავშები სდუმან. უცებ ძლიერი სროლა, ხმაურობა და ყვირილი. „ინტერნაციონალის“ მღერა თანდათანობით ნელდება).

ირინე—(ფრთხილად) ეს რა არის, ლადო?

ლადო—რევოლუციაა, ირინე. მამაჩემიც მუშებთანაა, რომლებიც იბრძვიან მდიდრების და მუქთახორების წინააღმდეგ.

ირინე—(შეშინებული) დეიდა ანეტასთან არ შეიძლება წასვლა?

ლადო—აბა როგორ... ყველა ქუჩა დილიდანვე შეკრულია, მე ძლივს მოვაღწიე აი, უყურე:.. (მიდიან ფანჯრისაკენ, პატარა ბავშები ლადოს ეკვრიან. ბორისმა ჩუმად დაიხურა ქუდი და შეუმჩნევლად გარეთ გადის).

ირინე—(ლადოს) ბორია წავიდა.

ლადო—(გაჯავრებული) რას ამბობ? მე მას ამ წუთში მოვიყვან... ისხედით წყნარად (მირბის. სამი ბავში ფანჯარასთან რჩება. წითლად განათდება)

გოგი—ირინე, უყურე, რამდენი ჯარისკაცი მოვიდა!.. როგორები არიან, შეხედე! აი, ერთი წაიქცა...

ირინე—ალბათ, დასჭრეს. მე ჩავირბენ ქვევით. წყნარად იყავით (მოისხამს წამოსასხამს და მირბის. პატარები ფანჯარასთან არიან).

გოგი—უყურე, თამიკო, რამდენი ჯარისკაცია! ყველას წითელი ლენტი აქვს გულზე... მე არასდროს არ მინახავს... იქ კიდევ მეზღვაურები... ირინე ელაპარაკებოდა მათ... (მიეყრდნო ფანჯარას, თითქოს სურს ყველაფრის გაგება) რა, რას ამბობ... შენთან... ეხლავე..! (მირბის კარებისკენ და დაეტაკება ირინეს)

ირინე—გოგი, ჯარისკაცები მოვიდენ, რომ მიეშველონ მშრომელ ხალხს... იბრძვიან ბურჟუების და მემამულეების წინააღმდეგ... სადაა შენი ჩითის ნაჭრები? უნდა გდავცე დაჭრილებისათვის (გოგისთან ერთად ურევენ ხელებს ნახევრად დამტვრეულ კალათში და არჩევენ სუფთა ნაჭრებს), ჯარისკაცები მოვიდენ მიეშველონ მამას... (მირბის, გოგი კი ისევ მიაშურებს ფანჯარას)

გოგი—კიდევ, კიდევ ჯარისკაცები... თოფიანი მუშები... უუუ! რამდენია, რა დიდი წითელი დროშაა. აი ირიკოც... უყურე, ისინი ჩვენი აივნის გვერდით ჩამოსხდენ... რისთვის? დაიღალენ?.. ერთი, ორი... ისინი ხუთია, როგორც ჩვენ... ირიკო ჩვენთან მორბის... (შემოვარდება ირინე)

ირინე—(მხიარული) ბავშებო, ჯარისკაცები მოვიდენ აქ შორიდან... ბაქოს მხრიდან, მოვიდენ, რომ მიეშველონ მუშებს და ლარიბ გლეხებს; მათ სწყურიათ. გოგი, გესმის... (გოგი მიეკრა ფანჯარას და არაფერი ესმის) თამიკო, შენ წაუღე. მე მინდა სამოვარი დავდგა, ხომ კიდევ მოვლენ.

თამიკო—(მზრუნველობით) მე მივცემ ჩემს ხაჭაპურს, კარგი?

ირინე—ჩემო ჭკვიანო, პურიც, ძეხვიც, რაც მამამ დასტოვა, ჩააწყე კალათაში (თამიკო კალათით ხელში გადის. გოგი არ სცილდება ფანჯარას. ირინე სამოვარს დაჰფუსფუსებს).

ირინე—(თავისთვის) ისინი ამბობენ: მშრომელმა ხალხმა გაიმარჯვა, აღარ იქნება სროლაო... (თავისთვის მღერის) „არარა იყო შიში და ძრწოლა“ (ბრუნდება თამიკო საზეიმო განწყობილებით, სდგამს ცალიერ კალათს და ლიტრას).

თამიკო—(აღფრთოვანებით) იმათ მითხრეს: „გმადლობთ, პატარა ამხანაგო“. (არავინ არ უგდებს ყურს; მიუჯდება თავის კუბიკებს)

გოგი—უი! რამდენი ხალხია! ყველა წითელი დროშებით! (სცენის უკან ისმის ძახილი: „ვაშა“ და „გაუმარჯოს საბჭოებს“). დახე, დეიდა ანეტა მირბის, ვილაცა ბიჭს კი დროშა მოაქვს... ლადო და ბორისი!.. (სიხარულისაგან მინას უბრახუნებს. ირინე და თამიკო ფანჯრისაკენ მირბიან).

გოგი—ლადო, ბორის... მამილოც!.. (სამივენი სკამებიდან გადმოცვივიან ძახილით „მამა, მამა“, ჩემო მამიკო“, მირბიან კარებისკენ და დაეტაკებიან კარებში შემოსულ შეიარაღებულ მამას. ჟრიამულია. მამას შემოჰყვებიან ლადო დიდი დროშით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ და ბორისი).

მამა—(მხიარული, დაღლილი აიყვანს ხელში თამიკოს). აბა, ჩემო კარგო ხუთეულო, კარგად ხართ? (ჯდება სკამზე ოთახის შუაგულში, შვილები შემოეხვევიან; ათვალიერებს ოთახს) დაიწყევლოს ყველა არამზადა! ასე მგონია, მთელი წელიწადია არ ვყოფილვარ! ყველაფერი რიგზეა, ირიკო! მოდი, გენაცვალე... სამოვარიც მოგიმზადებია?..

ირინე—(ამაყად) ეს... ჯარისკაცებისთვის. ისინი შორიდან მოვიდენ მშრომელი ხალხის დასახსნელად... მამა, ჩვენ ისინი ვასაუზმეთ.

მამა—(გაკვირვებული) მართლა? მე ვხედავ, რომ თქვენ მართლაც საყვარელი ხუთეული ხართ.

თამიკო—მე ჩემი ჩითის ნაჭრები მივეცი.

ირინე—დაჭრილებისათვის, მამილო!

მამა—(უფრო გაკვირვებული) ასე, ასე...

თამიკო—იმათ მე მითხრეს: „გმადლობთ, პატარა ამხანაგო“.

მამა—(ალერსით) ჰო!.. თქვენ მართლაც პატარა ამხანაგები იყავით .. ჩემო თამიკო, შენ, ვხედავ სახლს აშენებ კუბიკებისაგან, ეხლა მშრომელი ხალხი ააშენებს შენთვის და იმისთანა ბავშებისათვის, როგორც შენა ხარ, საუკეთესო სასახლეს, უზარმაზარს, ბრწყინვალეს...

მამა—(შორიდან მოისმის „ინტერნაციონალის“ სიმღერა) ყური მიგდეთ, ბავშებო... მუშები მოდიან... ქუდები მოიხადეთ! ფეხზე ადექით... (ყველა დგება ფეხზე, სიმღერა სულ უფრო და უფრო ახლოვდება; მამა ბავშებით შეუერთდება გუნდს. ლადოს ხელში წითელი დროშა უჭირავს და აღფრთოვანებული შეჰყურებს მას).

ფარდა

მოზარდ მაყურებელთა თეატრი

ასეთი სახელწოდება მიიღო იმ თეატრმა, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინათ ჩამოყალიბდა საქართველოს მშრომელთა შვილებისა და პროლეტარულ ბავშობისათვის. იგი გაიხსნება ოქტომბრის დღესასწაულის თერთმეტი წლის თავზე და ახალ თაობას საშვალება მიეცემა ნახოს თავისი თეატრი.

რვა წელიწადია, რაც რუსეთში არსებობს ასეთი თეატრი და უნდა აღინიშნოს, რომ მისი მუშაობა მეტის მეტად წარმატებით მიმდინარეობს. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ყოველი დაორგანიზებული ბავში და ყველას აჩვენა თავისი სახე.

ისმება საკითხი: რა მიზნებს ემსახურება ეს თეატრი, რა სამსახური უნდა გაუწიოს მან ბავშობას?.

აი, ის მთავარი კითხვა, რომელიც იბადება ყოველთვის, როგორც კი გავიფიქრებთ ამ თეატრზე და მის მაყურებლებზე.

მისი პირველი დანიშნულებაა ემსახუროს ბავშობის კომუნისტურად აღზრდის და მათი შეხედულებების და გემოვნების ამ მიმართულებით მტკიცედ ჩამოყალიბების საქმეს.

მოზარდი თაობა, რომელიც მომავალი კომუნისტური საზოგადოების უტყუარი მშენებელია, საჭიროებს განსაკუთრებულ აღზრდას, გათვითცნობიერებას; ამიტომ ეს თეატრი არ შეიძლება იყოს მხოლოდ თეატრი, სადაც მსახიობი თავის როლს ითამაშებს, რეჟისორი დადგამს და მაყურებელი ნახავს.

რასაკვირველია, ეს სულ სხვა ხასიათის თეატრია. ეს სკოლაა, მეორე აღმზრდელი სკოლა, ამიტომ ბავშებთან ერთად აქაც პედაგოგები უნდა დაირაზმონ, აქაც პედაგოგებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა მისი სწორი გზით წარმართვისთვის. ყველაფერი ის, რაც აქ იქნება დადგმული და ნაჩვენები, გაგებული უნდა იქნეს სწორედ ისე, როგორც საჭიროა, როგორც მოითხოვს ბავშის სწორად აღზრდის საქმე.

ყველა სკოლის მასწავლებლობა და მოწაფეობა, ყველა კოლექტივის ხელმძღვანელები და პიონერები, რომელთათვისაც დაარსებულია უმთავრესად თეატრი, თანაგრძნობით უნდა მოეკიდონ ამ სასიქადულო საქმეს, რადგან პირველთ, — მასწავლებლობას და ხელმძღვანელებს,—იგი მდიდარ მასალას მისცემს ბავშებთან მუშაობისათვის და ეს მასალა შეიძლება დაუკავშირონ საერთო აღზრდის საქმეს, მეორეებს კი, ბავშებს—მოწაფეებს, პიონერებს,—მიაწოდებს არნახულს, საინტერესო საზრდოს.

რამდენი ხანია იღვწოდენ იმისთვის, რომ როგორმე შეექმნათ ეს თეატრი. ჯერ კიდევ ძველ დროსაც სხვადასხვა საზოგადო მოღვაწენი ოცნებობდენ მასზე, მაგრამ მისი დაარსება შეუძლებელი ხდებოდა. დღეს კი მუშურ-გლეხური ხელისუფლება, რომლისათვისაც ძვირფასია მისი შემცვლელი მომავალი თაობა, ამ საქმეს სერიოზულად შეუდგა კიდეც.

ამიტომ თეატრი ყოველ ბავშს უნდა აინტერესებდეს, რადგან ის მისი მხატვრულ-ესთეტიური აღზრდის კერა იქნება. ამ თეატრის რეპერტუარში შედის მეტად საინტერესო და საკმაო მხატვრული ღირებულების მქონე პიესები. ეს პიესებია: „ფრიც ბაუერი“, სადაც მოცემულია ერთი გერმანელი ბავშის ცხოვრება,—ეს პიესა იმდენად საინტერესოა, რომ მან დაიპყრო მოსკოვისა და ლენინგრადის ბავშობა, მეორე პიესა—„ალტაელი. რობინზონები“—მხიარული ცოცხალი პიესაა. ასეთივეა მესამე პიესა „რობინ გუდი“ და სხვა კიდევ.

ყველა ეს პიესა გამომაფხიზლებელი და ბავშთა გონებრივად გამამდიდრებელი პიესებია.

ამ თეატრს უპირველეს ყოვლისა ჟურნალი „პიონერის“ მკითხველები უნდა მიეგებონ თანაგრძნობით, უნდა დარაზმონ მთელი ბავშობა მის ირგვლივ.

პიონერის, მოწაფეების და, საერთოდ, ბავშობის მორიგი ამოცანაა მთელი თავისი გულისყური მიაპყრონ თავისი აღზრდის თეატრს და ხელი შეუწყონ მისი განვითარებისა და წარმატების საქმეს.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერები ჟურნალ „პიონერის“ შესახებ.

ჟურნალ „პიონერის“ შესახებ

ჟურნალი „პიონერი“ თავისი დანიშნულებით უსათუოდ ჩვენი ჟურნალია, იგი უსათუოდ ემსახურება ჩვენი აღზრდის და განვითარების საქმეს. ძლიერ ბევრ რასმეს ვხვდებით შიგ საინტერესოს, რაც კი საჭიროა ვიცოდეთ პიონერებმა.

ჟურნალში იბეჭდება მოთხრობები, რომელთა შორის ბევრი ძლიერ მოსაწონია. განსაკუთრებით მოგვწონს ჩვენ ს. ერთაწმინდელის მოთხრობები და აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფოების შესახებ ცნობები, რომელთა წყალობით ჩვენ ვეცნობით სხვადასხვა ხალხის ცხოვრებას და მოქმედებას.

კარგია ჟურნალში მოთავსებული წერილები უცხოეთის პიონერების შესახებაც.

საჭიროა ჟურნალში მომავალში დაიწეროს რაიმე მეცნიერება და ტეხნიკიდან, რაც ყველა პიონერებს ძალიან გვაინტერესებს.

ჟურნალი „პიონერის“ № 18 მოთავსებული იყო განცხადება, რომ ჟურნალის 2 წლის თავზე ჩვენ, პიონერებს, გამოგვეთქვა მასზე შეხედულებანი. ჩვენ ვესალმებით ჟურნალი „პიონერის“ 2 წლის თავს და სურვილს გამოვთქვამთ, რომ ეს ჩვენი საყვარელი ჟურნალი კიდევ უფრო საინტერესო გამხდარიყოს.

პიონერი ვ. ეძსოულიძე.

ჟურნალი „პიონერი“ სოფლად

კვირა დილაა.

ჯერ ფოსტალიონი არ მოსულა, ადგილობრივი ფოსტის წინ კი უკვე თავი მოუყრია რამდენიმე პიონერს. ისინი ვიღაცას ელოდებიან. რომ შეეკითხოთ, თუ რისთვის შეკრებილან, გიპასუხებენ:

— ფოსტალიონს ვუცდით!

— რა საქმისთვის?

— რა და ჟურნალი „პიონერი“ უნდა ჩამოვიდეს.

მოთმინება არ ყოფნით და წამდაუწუმ ეკითხებიან სამკითხველოს გამგეს.

— ამხ. საშა, ჟურნალი „პიონერი“ ხომ უნდა მივიღოთ დღეს?

— მე მგონია კი — უპასუხებს იგი.

ფოსტის კედლის საათმა 11-ჯერ ჩამორეკა. ათ წუთში ფოსტალიონი უნდა მოვიდეს და თან მოიტანოს სოფლის ჟურნალ-გაზეთები.

მზემ საკმაოდ დასცხა. ფოსტალიონი თავის მჭლე ცხენს მათხოჯის ქვებით სავსე შარა გზაზე ძლივს მოაჭენებს. მას უკვე თვალი მოჰკოეს პიონერებმა და მისკენ დაიწყეს ცქერა.

— მოდის, მოდის!!!

— რავა სანჩო-პანჩოსავით მოლრაკუნობს! — იხუმრა ვიღაც პიონერმა.

— სანჩო პანჩო კი არა, მაგას ჩვენ ფოსტაში ჩან-ყაში დაარქვეს — უპასუხა მეორემ. ყველამ გაიცინა.

ფოსტალიონმა, როგორც იქნა, მოაღწია, ცხენი ხ ს ბოძზე მიაბა. პიონერები მიცვივდენ, უნდოდათ ცხენის ზურგ-დან იმ ტომრის გადმოღება, რომელშიაც ჟურნალ-გაზეთები იყო.

ტვირთი გადმოიღეს და შეიტანეს ფოსტის ოთახში. როცა გახსნეს, იქიდან გადმოცვინდა გაზეთებთან ერთად რამდენიმე წითელგარეკანიანი „პიონერი“.

„პიონერი“ მათხოჯის თემში სისტემატიურად მოდიოდა რამდენიმე ცალი. პიონერებმა იცოდენ მისი მოსვლის დრო და ამიტომ იყო, რომ დღესაც ასე ელოდენ.

ფოსტის გამგემ გადაათვალიერა ხელის მომწერთა სია და აქვე დაარიგა ყველა ჟურნალები. ბავშები, მიიღეს თუ არა ჟურნალები, იმ წუთშივე დიდი მისწრაფებით შეუდგენ კითხვას. ერთი ჯგუფი ჩამოჯდა ნიგვზის ხის ძირას და დაიწყეს ხმამაღლა ნობილეს ექსპედიციის თავგადასავლის შესახებ წერილის კითხვა. ასე კითხულობდენ დიდხანს და თით მის მთელი ჟურნალი გადაიკითხეს; შლიდენ და გულმოდგინედ აკვირდებოდენ მასში მოთავსებულ სურათებს, ხანდასხან კიდეც ედავებოდენ ერთმანეთს.

ისე, როგორც მათხოჯის პიონერები, სხვა სოფლების პიონერებიც ალბათ ასე დიდი სიხარულით ელიან და ეკიდებიან ჟურნალ „პიონერს“. თუ ყველგან არა, ყოველ შემთვევაში ეს ასე ხდება ჩვენს სოფელში, სადაც „პიონერი“ ბავშებისათვის დიდ საჩუქარს წარმოადგენს.

რა არ ეცნობიან სოფლის ბავშები ამ ჟურნალის წყალობით!...

ვუსურვებ ჟურნალ „პიონერს“ მისი არსებობის ორი წლის თავზე, მეტ გამარჯვებას და განვითარებას.

კ. მათხოჯელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი აზრი ჟურნალ „პიონერზე“

ორი წელია, რაც ჟურნალი „პიონერი“ გამოდის და იგი დიდ სიყვარულს იმსახურებს. ამ ჟურნალის საშვალებით ჩვენ ძლიერ ბევრ რასმეს ვეცნობით. კერძოთ მე ჟურნალში მომწონს მოთხრობები და ლექსები, სადაც აღწერილია ბავშების გმირული თავგადასავალი.

კარგია, რომ ჟურნალში თავსდება პიონერთა ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ წერილები. უნდა გაძლიერდეს ჟურნალში „ბავშთა შემოქმედების“ განყოფილება.

რაც შეეხება განყოფილებას „ჩვენი ვიქტორინა“, იგი მეტად საინტერესოა, მისი საშვალებით ჩვენ ვამოწმებთ ხშირად, თუ რა ვიცით და როგორი მახსოვრობა გვაქვს.

პიონერი გ. ჯამუშანური.

ჩვენი ჟურნალის შესახებ

ჟურნალი „პიონერი“ ორი წელია არსებობს. იგი დიდად დამაკმაყოფილებელია, იგი ნამდვილად ჩვენი ჟურნალია, საიდანაც ვიძენთ ცოდნას.

ჟურნალში იბეჭდება მეტად შინაარსიანი მოთხრობები, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ ეს მოთხრობები დასურათებული იქნებოდეს.

ჟურნალში მეტად მოგვწონს და გვიზიდავს სხვადასხვა წერილები მოგზაურობაზე, ამუნდსენზე, გემ „კრასინზე“ და სხვა.

კარგია აგრეთვე შორეული პიონერების ცხოვრების ამბები, რომელიც ჟურნალში ყოველთვის იბეჭდება.

დიდი სიხარულით ვეგებებით ჟურნალის იმ ნომერს, რომელშიაც ლექსებია მოთავსებული საჭიროა, ლექსები უფრო მეტი იბეჭდებოდეს. ჩვენს ჟურნალს ვუსურვებ გამარჯვებას.

მე-8 შრ. სკ. მოწ. ნელი ჩხეიძე.

ფაშიზმიც ხელს უწვდის გავშეგს.

ფაშიზმი თავისი დიქტატურის უფრო სრული განმტკიცებისათვის შეუდგა იტალიის ახალგაზრდობის და ბავშების ფაშიზაციას. ეს ეხლა განსაკუთრებით აუცილებელია მისთვის თავის მებრძოლ-იმპერიალისტურ მისწრაფების განსახორციელებლად.

ფაშიზმმა გადასწყვიტა თავის უფლებებში მოაქციოს ორგანიზაცია და დაარსება ყველა საზოგადოებებისა, რომლების დანიშნულებაა ბავშების კულტურული, ფიზიკური და სულიერი აღზრდა.

ამ მიზნით ის აწარმოებს გაძლიერებულ პროპაგანდას სკოლებში, რომ რაც შეიძლება ბავშების მეტი რაოდენობა ჩაბას თავის ბავშთა ორგანიზაციაში, რომელსაც ეწოდება „ბალილა“. ეს უკანასკნელი სახელი წარმოსდგება ერთ იტალიელ პატრიოტ-ბავშისაგან, რომელიც იყო „გმირი“ იტალიის განმათავისუფლებელი ნაციონალური ომების დროს.

სკოლებში ბავშების „ბალილას“ რიგებში ჩაწერა თითქმის იძულებით ხდება. მოწაფეებს მასწავლებლები და ფაშისტები აიძულებენ ჩაეწერონ „ბალილაში“.

აი, მაგალითი იმისა, თუ როგორ იძულებით ამრავლებენ „ბალილას“ რიგებს.

ერთმა მუშა-მელითონემ გასულ წელს (ქ. მანტოვიდან) უარი სთქვა თავისი შვილის „ბალილაში“ გაგზავნაზე. ამისათვის მას დაემუქრენ სამუშაოდან დათხოვნას, თუ ის არ დაემორჩილება და არ გაგზავნის თავის შვილს დაუყოვნებლივ ფაშისტურ ბავშთა ორგანიზაციაში.

ოფიციალური ცნობების თანახმად, „ბალილას“ ჰყავს 550,000 წევრი, მაგრამ ეს ციფრები გადაჭარბებული უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე, ყველა გასართობი ორგანიზაციები ბავშებისათვის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ფაშისტების კონტროლით და ხელმძღვანელობით. ეს ვალდებულება ხშირად აიძულებს ბავშებს შევიდენ ფაშისტურ ორგანიზაციაში.

მასწავლებლებს სკოლებში მიცემული აქვთ განკუთრებული განკარგულებანი ბავშების სასტიკ ფაშისტური სულით აღზრდის შესახებ. სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულების თანახმად, დაალი სკოლების მასწავლებლები, სანამ ისინი შეუდებოდენ თავისი მოვალეობის ასრულებას, ვალდებული არიან სკოლის გამგის წინაშე შემდეგი ფიცი დარმოსთქვან:

„ფიცს ვდებ ვიყო ერთგული მეფის და მისი ემკვიდრეების, დავიცვა კონსტიტუცია და სხვა სახელმწიფო კანონები. ფიცს ვდებ, რომ არ ვეკუთვნი და არც მომავალში ვეკუთნები საზოგადოებს და პარტიებს, რომელთა მოქმედებაც არ შეეკარდება ჩემი სამსახურის ვალდებულებებს, და რომ ვასრულებ ჩემს ვალდებულებებს გულდასმით და ერთგულებით, ჩემს ყურადღებას მივმართავ აღზრდილ ბავშები ისე, რომ მათ უყვარდესთ სამშობლო და პატივს სცემდენ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს“.

ფაშისტურ მთავრობას მიღებული აქვს ზომები, რომ განავითაროს ბავშთა შორის სამხედრო მომზადება, და რომ ფიზკულტურის სწავლება სკოლებში არ განისაზღვრებოდეს მარტო უბრალო ტეხნიკური საფუძვლით, არამედ აგრეთვე ის იყოს გამსჭვალული ფაშისტური იდეოლოგიით!

ამ განკარგულების თანახმად დაბალ სკოლებში ფიზიკურ აღზრდას იღებენ მოწაფეები რვა წლიდან, ანუ III. მესამე კლასიდან?

თითოეულ სკოლას უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული მოედანი, ხოლო რაც შეეხება სპორტიულ ბანაკებს, მათთვის კი გამოყენებული იქნება ის ბანაკები, რომელნიც არსებობენ ფაშისტურ ორგანიზაციებთან და სამხედრო სპორტიულ დაწესებულებებთან. მათი პროგრამა იქნება საერთო ბავშთა ფაშისტურ ორგანიზაციებთან ერთად და ეწოდება: „გიმნასტიურ-სპორტიულ-ნაციონალური ფაშისტური პროგრამა“.

ეს პროგრამა ორ ნაწილად განიყოფება: 1) 8-11 წლის ბავშებისათვის ის ატარებს უმთავრესად გასართობ ხასიათს, რომელიც დაფუძნებული იქნება თამაშობებზე, ხოლო ბავშებისათვის 11-14 წლისა, ის ატარებს უმთავრესად დისციპლინარულ ხასიათს ფიზიკურ სპორტიულ თამაშობით.

რაც შეეხება საშვალო სკოლებს, იქ ანხორციელებენ უმთავრესად გიმნასტიურ-სპორტიულ პროგრამას, რომელიც შეეფერება ფიზკულტურულ აღზრდას და რომელსაც ატარებენ ფაშისტურ ახალგაზრდობის კავშირში.

მთელი ფიზკულტურული აღზრდა იმყოფება ახალგაზრდობის ფაშისტური აღზრდის საზოგადოების კონტროლის ქვეშ. ამ საზოგადოებას ეწოდება — „ოპერა ბალილა“. მისი გავლენა კერძო სკოლებზედაც ვრცელდება.

დაარსებულია სპეციალური კურსები, რომლებმაც უნდა მოამზადონ სპორტ-ინსტრუქტორები ფაშისტური მსოფლმხედველობით.

ამგვარად, ფაშიზმი ცდილობს იტალიელი ბავშების ახალ თაობას დაუბნელოს გონება და შებორკოს ისინი, რომ ამ გზით ძათ შესძლონ მომზადება, როგორც თვითონ ამბობენ ხოლმე, „საიმედო ფაშისტური შემცვლელი ძალის.“.

პროპაგანდაში, რომელსაც უკანასკნელ ხანებში აწარმოებდენ ისინი, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს აგრეთვე დათმობილი ბავშების ანტიბოლშევიკურ აღზრდას და ზიზღს საბჭოთა რესპუბლიკების მუშურ-გლეხური ხელისუფლებისადმი. ეს მოვლენა სრულიადაც არ არის შემთხვევითი. ის სავსებით შეეფარდება ბურჟუაზიული ქვეყნების მზადებას ომისათვის, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ.

აი ფაქტიც: ბავშთა ფაშისტური ჯგუფის „ბალილას“ ოფიციალურ ორგანოში, თითქმის ყოველ ნომერში, თავსდება დასურათებული მოთხრობა ფაშისტური ბავშის თავგადასავლის შესახებ, რომელიც მოხვდა „განადგურებისა და უწესრიგობის ქვეყანაში (ასე უწოდებენ ისინი საბჭოთა კავშირს და საერთოდ რევოლუციას) და სადაც ის მოხვდება წითელგვარდიელების კლანჭებში. გზადაგზა ნაჩვენებია აგრეთვე ის „საშინელებანი“, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა ქვეყანაში, როგორიცაა დანგრეული მატარებლები, მუმათა გაფიცვები და სხ. ბავშს გადაუწყვეტენ დახვრეტას, მაგრამ თაგვებმა, რომლებმაც გახრეს ბაწარი, რომლითაც შეკრული იყო ბავში, გადაარჩინეს ის. შემდეგ ის ახერხებს გაქცევას. გარდა ამისა, ჟურნალის ყოველ ნომერში თავსდებოდა რომანი გამოგონილი რუსული ავტორისა, რომელშიაც მოთხრობილი იყო საბრალო რუსი ბავშის თავგადასავალი საბჭოთა ქვეყანაში.

ასეთი ხასიათის მოთხრობები მეტად დამახასიათებელია: მათ ბავშებში უკვე პატარაობიდანვე უნდა გამოიწვიონ სიძულვილი და მტრობა ბოლშევიზმისადმი, საბჭოთა ქვეყნისადმი და პროლეტარული რევო-

ლუციისადმი, რათა ამ გზით მათ მოამზადონ ღირსეული ძალა ს. ს. რ. კ. მომავალში მოსასპობად.

ფაშისტები უკანასკნელ დრომდე ნებას აძლევდენ, თუმცა დიდი შეზღუდვით, კათოლიკურ სკაუტებს, რომ ეარსებნათ, მაგრამ ეხლახან ეს ორგანიზაციაც გააუქმეს.

ფაშისტებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ რელიგიას დიდად შეუძლია ჩამოაცილოს ახალგაზრდობას რევოლუციონური გრძნობები, ამიტომ ისინი გაძლიერებულ რელიგიურ პროპაგანდას ატარებენ ბავშთა შორის. ბალილას განსაკუთრებულ ლოცვაში ფაშისტი ბავში მიმართავს ღმერთს და სთხოვს მას დაიცვას მეფე და საყვარელი მუსოლინი, და რომ იტალიის დროშა ფრიალებდეს არა მარტო იტალიის მიწაზე, არამედ მთელ ქვეყნიერებაზე. ამრიგად, უბრალო რელიგიურ ლოცვის ქვეშ ნათლად ჩოჩანს იტალიის ფაშისტების იმპერიალისტური მისწრაფებანი.

იმ მიზნით, რომ ფაშისტებს მოეპოებიათ რელიგიურად განწყობილ მცხოვრებთა ფენების თანაგრძნობა, მათ ნათლისღება დღეს (ექვსი იანვარი —რელიგიური დღესასწაულია), ბავშებს დაურიგეს საჩუქრები.

გარდა ამისა, ფაშისტი ბავშების ჯგუფებს აგზავნიან ზღვაზე, მთებში, განსაკუთრებულ ფაშისტ-ბავშთა კოლონიებში, რამაც აგრეთვე მათ უნდა მოუპოვოს მცხოვრებთა თანაგრძნობა.

მუშათა ბავშების ყოფა-ცხოვრება ფაშისტურ წესწყობილებაში თანდათან უარესდება. არის ცნობები იმის შესახებ, რომ, მიუხედავად კანონით აკრძალვისა, მრავალ ქარხანაში თანდათან გამრავლდა ბავშების რიცხვი, რომელნიც ჩაბმულნი არიან მძიმე წარმოებაში (ასე, მაგალითად, ქალ. ბელის საფეიქრო ქარხნებში არიან 12 წლისაზე ნაკლები ბავშები ამათი ჯანმრთელობისათვის აუტანელ სამუშაოში). ხშირად თვით მუშებიც მიმართავენ მთავრობას, მიუხედავად კანონისა, რომ მათ მიეცეთ ნება ამუშავონ თვიანთი ბავშები წარმოებაში.

ეს ფაქტი ამტკიცებს იმას, თუ რა სიღარიბეში და გაჭირვებაში იმყოფებიან მუშები. უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობაც და მრეწველებიც სიამოვნებით თანხმდებიან ამ თხოვნაზე, რადგანაც ბავშები უფრო ხელსაყრელია, როგორც იაფი სამუშაო ძალა.

არის ცნობები, რომ ხშირად დაფარულად და ზოგჯერ აქტიურადაც მუშათა შორის გაისმის უკმაყოფილება მათი ბავშების „ბალილის“ ორგანიზაციაში ჩაწერის წინააღმდეგ. ამიტომ იტალიის კომკავშირის ლოზუნგები მუშებისადმი „არ ჩასწეროთ თქვენი შვილები ბალილაში“ (რაც, რასაკვირველია ირალეგალური გზით ვრცელდება, ვინაიდან იტალიის კომკავშირს სასტიკად სდევნის ფაშისტური მთავრობა) დიდ თანაგრძნობას პოულობს იტალიის მუშათა ოჯახებში და ბავშებში.

ასეთია ბურჟუაზიულ-ფაშისტურ ბავშთა ორგანიზაცია იტალიაში. მის მოპირდაპირე კომუნისტურ ძალას წარმოადგენს იტალიის ბავშთა კომუნისტური ორგანიზაცია. მართალია, მას მეტად მძიმე პირობებში უხდება მუშაობა და ცხოვრება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი რიგები მაინც ძლიერდება, მისი გავლენა თანდათან მატულობს.

შავი ზღვის პირას

— ლამაზია კოლხეთი, როგორც ძველად ეძახდენ ამ მხარეს, და გადმოცემებშიც ხომ ცნობილია იგი თავისი წარმტაცი ლეგენდებით, მხატვრული აღწერით და სხვა, — განაგრძობდა საუბარს სანდრო, რა მოიარა ბათომის და სოხუმის მიდამოები და თავის შთაბეჭდილებას უზიარებდა პიონერებს; ეს იყო ექსკურსიის შემდეგ.

— მერე, მერე? — არ ეშვებოდენ პიონერები.

— მერე და, თქვენ ყველაფერი უნდა იცოდეთ ჩვენი ქვეყნის კულტურული მცენარეულობის შესახებაც, რაიც ბათომის და სოხუმის მხარეებში უფროა გავრცელებული.

— გვიამბე...

— მშვენიერია შავი ზღვა, ლამაზია მისი სანაპიროები, სამხრეთის ფირუზი ცით და მზით ავარაყებული, რომელიც თავისი სუბტროპიკული*) ჰავით იაპონიის ბუნებას ჰგავს და მთელი რიგი კულტურების გაშენების შესაძლებლობას იძლევა, როგორიცაა, მაგალითად, ჩაი, დაფნა, თამბაქო, ფორთოხალი, ლიმონი და სხ.

ჰავასთან შეგუების საკითხი, შესწავლა კლიმატიური ზეგავლენისა ნაყოფებზე, მცენარეულობაზე და პურეულზე უკვე 30 წელია სწარმოებს ორ დიდ საცდელ სადგურზე — სოხუმის და ბათომის — და მათთან დამოკიდებულ ბოტანიკურ ბაღებში. არა ერთი და ორი სიტყვა თქმულა და დაწერილა აქაურ მცენარეთა სიმშვენიერეზე.

საინტერესოა ისიც, როგორ მიმდინარეობს საცდელი მუშაობა და როგორი შედეგები მოაქვს მას.

*) თბილი ქვეყნებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ტყავის მოსაქნელი მასალა, რომელიც ბათომის ბაღის ლაბორატორიამ გადასცა ტყავის ქარხანას, და ქაფური, რომელიც სოხუმის საცდელმა სადგურმა გადასცა საავადმყოფოს.

ჩვენმა ექსკურსიამ შემოიარა ორივე ბაღი — ბათომისა და სოხუმის. ყოველმხრივ გავეცანით; ახსნა-განმარტებას სიამოვნებით გვაძლევდენ ბაღის გამგეები, თან დაგვდევდენ და გვიხსნიდენ ყველა მცენარეულობის შესახებ...

მხოლოდ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა სწარმოებს დუნედ, ადგილობრივ ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) სიმცირის გამო: მაგალითად, ბათომს ეძლევა 25,000 მან. წელიწადში, რაც ძლივს ჰყოფნის მუშა-მოსამსახურეებს და ბაღს...

ბათომის ბოტანიკური ბაღის სივრცე უდრის 100 დესეტინას, ეხლა მის საცდელ სადგურზე სწარმოებს შესწავლა ისეთი კულტურების, რაიც აჭარისტანში თანდათან მაგრად იკიდებს ფეხს. ამათგან განსაკუთრებულად ჩაის, რომლის შესწავლა და გამოკვლევაც სწარმოებს ჩაქვის საცდელ სადგურზე (ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში).

ჩაის კულტურის საკითხით დაინტერესებულია საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ და, რომ გავეცნოთ ამ უაღრესად სასარგებლო საკითხს, საჭიროა ცოტა შევჩერდეთ და უკან გადავხედოთ. ამ საზოგადოებამ 1926 წელს გააერთიანა ჩაის ყველა დიდი პლანტაცია—ყოფილი საუფლისწულო მამულების, პოპოვისეული—და ოზურგეთისა. პლანტაციებს უჭირავს 500 დესეტინა სივრცე, მთელ სანაპიროებზე კი 650. შარშან უკვე დაითესა 600 დესეტინა და წელს 1500 დესეტინაც კი. ამ საზოგადოების დანიშნულებაა ჩაის კულტურის გავრცელება გლეხთა მეურნეობაში, და ამ მიზნით გლეხობას ეძლევა სუბსიდია 400 მანეთამდე ყოველ ჰექტარზე.

საქმე ისაა, რომ ჩაის პლანტაციები ნაყოფს იძლევა მხოლოდ 3-4 წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში „საქართველოს ჩაი“ გლეხობას აძლევს ფულს, [illegible]ურიგებს თესლს, ეხმარება ინსტრუქტორებით, [illegible]ვით, აარსებს ახალ ფაბრიკებს მოსახლეობასთან დასაახ[illegible]ლოვებლად, რომ პლანტაციების რადიუსი (მანძილი) [illegible] ფაბრიკების ირგვლივ არ აღემატებოდეს 7-8 კილ[illegible]ომეტრს.

ჩაქვის ფაბ[illegible]იკა სეზონში ამზადებს 200,000 კი[illegible]ის. აუანში, [illegible]ძილ-გაბრიელში და [illegible]

ჩაქვის საცდელი სადგური ბათომის [illegible] ბორატორიითაც სარგებლობს გამოცდების [illegible]ბაში სასუქების გავლენის შესახებ მოსავალზე; [illegible]გები ჯერჯეროობით არ[illegible] გამორკვეული, რადგ[illegible] ჩაის საცდელ სადგურს სამი წლის არსებობაში [illegible] მოსავალი არ მოუცია. მაგრამ ლაბორატორიე[illegible] წარმატებით სწარმოებს ჩაის ტეხნოლოგიის შეს[illegible]ლა ნაწარმოების გაუმჯობესების მიზნით; დუ[illegible]ლის მსვლელობა, რაციონალიზაცია, წარმოების ცა[illegible]კე მომენტებისა (ჭკნობა, შრობა), საჭირო ტემპერ[illegible]ტურა და სხ.

ბაღის საცდელ მინდორზე ხდება შესწავლა [illegible]ვალი ახალი მცენარეულობის. ეთერმქონე, პარფ[illegible]რიის (სურნელოვანი საგნების) წარმოებაში [illegible]ველი ადგილი უჭირავს ბალბას. მისი მოსა[illegible] ძალიან დიდია. შარშან ჰექტარიდან ეთერის ზ[illegible] გამოსავალი 30-40 ათასი კილო იყო, მწვანე მასი[illegible] 50-60 კილოს უდიდა, რაიც კარგ შემოსავლად [illegible] ჩაითვალოს ეხლანდელი ფასების მიხედვით (60-[illegible] მან. კილო).

ტეხნიკური კულტურებიდან ითესება საფეიქ[illegible] მცენარეულობა, განსაკუთრებით ჩინური ჭინჭარი ([illegible] რეშუმის მცენარეული — საუცხოვო ბოჭკოვანი მ[illegible]ლა) და ახალზელანდიის სელი.

ლუფაზე („მაჩალკის“ გოგრაა) წარმოებული შე[illegible] დეგები, დაწყებული 1925 წ., იმდენად ზედმიწევნი[illegible] სასურველად დაგვირგვინდა, რომ მის ნათესებს უჭ[illegible]რავს 50 დესეტინა, და ეს კულტურა დიდად გავრცელ[illegible] და საქართველოში. დესეტინაზე მოდის 20 ათასამდ[illegible] ლრუბელი. იგი სასარგებლოა, რადგანაც მისი ხარ[illegible] დესეტინაზე არ აღემატება 1-1½ ათას მანეთს [illegible] შემოსავალი კი აღწევს 4000 მანეთს.

გამონახულია ტყავის მოსაქნელი ახალი წყარ[illegible] მიმოზების (ავსტრალიის აკაციების) სახით, რომელ[illegible] შიაც ბლომადაა ღვინის მარილის მაგვარი ნივთიერ[illegible]ბა; ესაა მწვანე ყვავილი, მცენარე, რომელსაც ჩვენშ[illegible] ეძახიან „მიმოზას“; ეს მცენარე სრულიად შეგუე[illegible]ბულია ჰავას და იძლევა 20-25 % ტყავის მო[illegible] საქნელ მასალას. ამ დღეებში ლაბორატორიამ ად[illegible] ლობრივ ტყავის ქარხანას დაუმზადა 32 კილო ტ[illegible] მოსაქნი გამონაწური.

როგორც ზეთის მიღების მხრივ, ისე მალ[illegible] ჭაობების ამოშრობის მიზნით ძალიან ძვიოფ[illegible] ნაქინის ხის კულტურა. ეს სწორედ აზიდულ[illegible] შვეული ფ[illegible]ით, ძალიან მალე იზრ[illegible] წელიწად[illegible]ნ ერთ მეტრს დიამ[illegible] [illegible]ელი სადგურიც კა[illegible] [illegible] 1892 წელ[illegible]

...რამედ ჩრდილოეთის პურეულობისასაც, მაგ-
ლუციისა...ამტკიცა, რომ მათი სამხრეთის ჰავაში თესვა-
სეული ...ანა უსარგებლოა. აქაურ ადგილობრივ მცხოვრებ-
...საკვები, საჭმელი ხომ უმთავრესად სიმინდია, და სა-
დენ...დელი სადგურის მუშაობის შედეგებმა ამ საკითხში
ტებ...იდი სარგებლობა მოუტანა ამ მხაოეს.
ზაკი...ჰავასთან შეგუების მუშაობა სწარმოებდა ბათო-
...ის სადგურის მსგავსად.
ლი...ლაბორატორიებში მეცნიერული მუშაობა სე-
ბა...ჯზულადაა დაყენებული. აქ ხდება ცდები ქაფუ-
გა...რის ...ილებაზე, დაფნაზე, ბალბაზე, ჭინჭარზე, ზეთის
ბავ...ზე და სხვა მრავალ მცენარეულობაზე, რომელიც
ში...ენი მრეწველობისათვის აუცილებელია. აქვე მო-
მას...ავთ და ახდენენ ცდებს გუტაპერჩის (შირა, რეზი-
რომ...) ხეებზე, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ არ გამოუყე-
ი...ტ...ბიათ.
რიგ...განსაკუთრებულ ინტერესს აქ წარმოადგენს
ლ...დები თამბაქოს წარმოებაზე. საცდელი მინდორი ორ
რი...ლომეტრზეა ბაღიდან. მთლად აფხაზეთში დათესილია
...2,000 დესეტინა მაღალხარისხოვანი თამბაქო, რო-
ლ...ელიც იხმარება დაბალხარისხოვანი თამბაქოს გასა-
გ...უმჯობესებლად. მოდის 8.000,000 კილომდე (განსა-
...კუთრებული ხარისხი, ეგრეთწოდებული „სამსონი“).

საშუალო ექსპორტი 2.400,000 კილომდეა წელიწად-
ში. შემოსავლიანობა 1000-1200 მანეთამდეა დესეს-
ტინიდან.

ბაღი დეკორატიულობის მხრივ მშვენიერ სანა-
ხაობას წარმოადგენს და კარგ შთაბეჭდილებას სტო-
ვებს: ლამაზად დაგეგმილი ხეივნის — ლერწის, ზეთის-
ხილის ხის, დაფნის, პალმების, მაგნოლიების, ლამა-
ზად შეკრეჭილ ბურთმაგვარ ღვიის და საამო სურნე-
ლების მფრქვევ ვარდების და ყვავილების — თვალწარ-
მტაცი ყურება ატყვევებს მნახველებს.

განცალკევებით გადმოკიდულია არაჩვეულებრივი
სისხოს ცაცხვი, ერთადერთი ხე, რომელიც დარჩენი-
ლია უძველესი დროიდან.

იმედია, ამ სამეცნიერო დაწესებულებებს, რომ-
ლებიც წარმოადგენენ ჩვენს სიამაყეს და წყაროს მო-
მავალი შემოსავლიანობისას, მიეცემა საჭირო თანხა
დამატებით, რომ სამეცნიერო მუშაობა უფრო ამაღ-
ლდეს და წინ წაიწიოს ჩვენი ქვეყნის საკეთილ-
დღეოდ...

დაათავა სანდრომ და ზეზე წამოდგა.

ს. ერთაწმინდელი.

...ოს ...ბ...ბ...ბ...
...ბ...ბ...ბ...ბ...
...ბ...ბ...ბ...ბ...

პიონერებო!

ახლოვდება ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავი.

ვემზადოთ ამ დღესასწაულისათვის.

ჩვენი ქვეყ... ...ბარეულ...
ბაც, რაიც... ...ის მხარეე...
გავრცელე... ...

— გვიამბე...

— მშვენიერია შავი ზღვა, ლამაზია მისი სანაპი-
რეები, სამხრეთის ფირუზი ცით და მზით აევარაყე-

...ვენიერეზე.
...ტერესოა ისიც, როგორ მიმდინარეობს საც-
დელი მუშაობა და როგორი შედეგები მოაქვს მას.

*) თბილი ქვეყნებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ვიქტორინა

სერია-2

1. ვინ არის ახლა საქ. ბ. კ. ორგ. ცენტრ. ბიუროს თავმჯდომარე?
2. ვინ იყვნენ „26“ კომისრები?
3. რა უფრო მძიმეა—1 ფუთი თუ 16 კილოგრამი?
4. რისთვის ეკრძალება პიონერებს ფესბურთის თამაში?
5. რა რაოდენობის თანხაზეა გამოშვებული ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი?
6. რამდენი და როგორი ელსადგურია ამიერკავკასიაში?
7. რომელია ყველაზე ძლიერი ელსადგური ამიერკავკასიაში?
8. რისთვის ეწოდება ბოლშევიკური ლენინურ პარტიას?
9. კომპარტიის ცეკას გენერალური მდივნის ამხ. სტალინის ნამდვილი გვარი?
10. სად არის ეიფელის კოშკი?
11. რისთვის უკეთებენ ხის ტარებს უთოებს და სამოვარს?
12. რამდენი პიონერია ტფილისში?
13. რომელ წელს ჩამოყალიბდა პიონერ-ორგანიზაცია საქართველოში და სად?
14. რას ეწოდება ტოპოგრაფია?
15. როდის შესრულდება საქ. პიონერ-ორგანიზაციის არსებობის 6 წელი?
16. რისთვის უნდა ვიწმენდდეთ კბილებს?
17. რა მავნე მწერები იცით?
18. დედამიწის რამოდენა ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირს?
19. როგორი შხამია თუთუნში?
20. რომელი ქალაქია საქართველოს დედაქალაქი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

1928 წ.

გამოდის — გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

→→ ჟურნალი ←←

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით.

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კან.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული). „პიონერი"-ს და „ოქტომგრელი"-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

სახელგამის სტამბა. სომხის ბაზარი № 22.

მთავარლიტ № 1802. შეკ. № 525. ტირაჟი 1000.